


რელაქტიციაზ პლანიზება



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 9 (296)
სექტემბერი
2021

ACCA

**Don't let the fear of losing be greater
than the excitement of winning**



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტორული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექინფორმი ISSN 1512-0775

№ 9(296)
სექტემბერი
2021

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე
გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფინანსურის და გადამზადების შესახებ	3
პროცესული სერტიფიცირების პრეტენზითა დასახმარებლად რეპრიკას უძლვება გამი აღავერდაშვილი	
დანახარჯთა კალკულაცია საქმიანობის სახეობების მიხედვით მოდული: „საქმიანობის შედეგების მართვა“	4
მონაცემთა ანალიზი	
მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)	12
2021 წლის ივლისის გამოცდების ანალიზი	36
საბა ძაბამია	
გლობალური ანგარიშგების ინიციატივამ უნივერსალური მდგრადობის სტანდარტები განაახლა	35
5 რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიმუშავოთ მეტი საგადასახადო დაგეგმვის სერვისებზე	36
ოფიციალური მასალები	38
პილება-პასუხი	44
ინფორმაცია ფინანსურის და გადამზადების შესახებ	48

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
ნერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

უურნალი ააწყო და დააკაბადონა 6. ყაველაშვილმა

გადაეცა წარმოებას 9.10.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.10.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 4,25. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

ინფორმაცია ფედერაციიდან

ინფორმაცია (შესხვება)
2021 წლის სავალდებულო განგრძობითი
სრავლების შესახებ



აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებულ პირებს, რომლებსაც მიმდინარე პერიოდამდე არ გაუვლიათ რეგისტრაცია სავალდებულო განგრძობითი სწავლების სემინარებზე ან/და ესაჭიროებათ გაცდენილი საათების აღდგენა, შევახსენებთ ჩასატარებელი სემინარების გრაფიკს. აგრეთვე განვმარტავთ, რომ 1 ნოემბრის შემდეგ ბაფში 2021 წლის განგრძობითი სწავლების სემინარები არ ჩატარდება.

ჩასატარებელი (დარჩენილი) სემინარების განრიგი:

IV ჯგ. – 18.10.2021-29.10.2021

V ჯგ. – 18.10.2021-29.10.2021

VI ჯგ. – 01.11.2021-12.11.2021

VII ჯგ. – 01.11.2021-12.11.2021

ლექციების დაწყების დრო 18.00 საათი;

სემინარის საფასური 354 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

გადახდა შეგიძლიათ შემდეგ ანგარიშზე სს „თიბისი“ ბანკი – კოდი: TBCBGE 22;
ა/ა GE83TB0600000000700665

კვიულებში რეგისტრაცია შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:
<https://forms.gle/dgMt2SB1TeV4YpmYA>



რეგისტრაციისათვის საჭიროა: შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა და გადახდის დამადასტურებელი საბუთი გადმოაგზავნოთ ელ. ფოსტაზე: baf@baf.ge

სემინარები წარიმართება ZOOM აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები იქნებიან დაშვებული. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინოს მომხმარებლის რეგისტრაცია და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება.

Zoom აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილის დასწრება აღირიცხება წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან – გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაედაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკორდოს ბაფში:
235 67 56; 235 43 97; 593 309 802 (შორენა გამიაშვილი)

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენზითა დასახმარებლად

რუბრიკას უძღვება
გაპი ალავერდაშვილი

დანახარჯთა კალკულაცია საქმიანობის სახეობების მიხედვით

მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“

დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებში განასხვავებენ ცვლად და მუდმივ დანახარჯებს. ამასთან, იგულისხმება, რომ ცვლადი დანახარჯები დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე (და ეს დანახარჯები იცვლება წარმოების დონის (წარმოებული პროდუქციის რაოდენობის) პროპორციულად, ხოლო მუდმივი დანახარჯები არ იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების მიუხედავად. სინამდგვილეში დანახარჯების დინამიკა (ქცევა) ხშირად გაცილებით უფრო რთულია. მაგალითად, პროდუქციის ერთეულზე ცვლადი დანახარჯები ხშირად იზრდება წარმოების მაღალი დონეების დროს, როდესაც აუცილებელია, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის თანამშრომლებს პრემიები გადაუხადონ ან როდესაც აღმოჩნდება, რომ რომელიდაც მასალა დეფიციტურია. მუდმივი დანახარჯები, ჩვეულებრივ, მუდმივია მხოლოდ საქმიანობის გარკვეულ დიაპაზონებში, ხშირად მუდმივია მხოლოდ ეტაპობრივად და შეიცვლება, როგორც კი წარმოების პროცესში დამატებითი საწარმოო რესურსების გამოყენებას დაიწყებენ წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით.

ყოველ შემთხვევაში, პროდუქციის ერთეულის ცვლადი დანახარჯების შეფასება შესაძლებელია და მათი ჯამი არის პროდუქციის ერთეულის ზღვრული დანახარჯი. ზღვრული დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც მაშინ წარმოიშობა, როდესაც წარმოებული ერთეულების რაოდენობა ერთი ერთეულით იზრდება. თუმცა, გარკვეულნილად ყოველთვის არსებობდა პრობლემა ისეთი მუდმივი საწარმოო დანახარჯების შეფასებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ქარხნის საიჯარო ქირა, გათბობის, მართვის/კონტროლის და ა.შ. დანახარჯები. პროდუქციის ერთი დამატებითი ერთეულის წარმოება არ იწვევს მუდმივი დანახარჯების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოება საერთოდ შეუძლებელია ამგვარი დანახარჯების განევის გარეშე. თუ მივიჩნევთ, რომ პროდუქციის ერთეულის წარმოების დანახარჯი მხოლოდ ზღვრული დანახარჯების-გან შედგება, ეს გამოიწვევს წარმოების ნამდვილი დანახარჯის შემცირებას და ამას შეიძლება გარკვეული პრობლემები მოჰყვეს. მაგალითად, თუ სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება პროდუქციის დანახარჯებზე/თვითლირებულებაზე გარკვეული ფას-ნამატის დამატებით, კომპანია უნდა დარწმუნდეს, რომ სარეალიზაციო ფასი ფარავს ყველა განეულ საწარმოო დანახარჯს. გარდა ამისა, მხოლოდ ზღვრულ დანახარჯებზე კონცენტრაციის გამო შეიძლება კომპანიას გამორჩეს ეკონომიკის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რაც შეიძლება განაპირობოს მუდმივი დანახარჯების კონტროლის გაუმჯობესებამ.

დაცასარჯონა სრული კალკულაციის ტრადიციული გეთოლი

მუდმივი სანარმოო ზედნადები დანახარჯების მიმართ გამოსაყენებელი ტრადიციული მიდგომა გულისხმობს, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დანახარჯების გაერთიანება და ზედნადები ხარჯების შთანთქმის ერთი განაკვეთის გამოთვლა. როგორც წესი, შთანთქმის განაკვეთი გვიჩვენებს ზედნადები დანახარჯს ერთ კაცსაათზე ან ერთ მანქანასაათზე. ამგვარი მიდგომა, რეალური სიტუაციის ძალიან გამარტივებაა, მაგრამ მას თავისი უპირატესობები აქვს – შედარებითი სისწრაფე და სიმარტივე.

1-ლი გაგალითი

ცხრილი 1

ბიუჯეტი	ჩვეულებრივი	ლუქსის კლასი
წარმოების მოცულობა (ერთეულები)	20,000	2,000
	\$	\$
პირდაპირი მასალა	10.00	12.00
პირდაპირი შრომითი დანახარჯები	60.00	72.00
ცვლადი ზედნადები ხარჯები	5.00	6.00
ზღვრული დანახარჯები	75.00	90.00

1-ელ ცხრილში მოცემულია საბიუჯეტო ზღვრული დანახარჯების მონაცემები ორი პროდუქტის შესახებ. პირდაპირი შრომის ანაზღაურების განაკვეთი საათში \$12-ია, ხოლო მთლიანი მუდმივი ზედნადები ხარჯები – \$224,000. მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის საფუძველია პირდაპირი კაცსაათები.

ცხრილის შესაბამისად, სამუშაო დროის მთლიანი საბიუჯეტო რაოდენობა უნდა იყოს 112,000 კაცსაათი. ეს მაჩვენებელი გამოითვლება წარმოების საბიუჯეტო მოცულობის ანუ ჩვეულებრივი პროდუქტის 20,000 ერთეულის საფუძველზე, რომელთაგან თითოეულის წარმოებას ესაჭიროება 5 საათი (ე.ი. სულ 100,000 საათი) და ასევე ლუქსის კლასის პროდუქტის საბიუჯეტო მოცულობის, 2,000 ერთეულის საფუძველზე, რომელთაგან თითოეულის წარმოებას ესაჭიროება 6 საათი (ე.ი. სულ 12,000 სთ).

ამგვარად, მუდმივი ზედნადების ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ კაცსაათზე არის $\$224,000/112,000 = \2 , კაცსაათი.

ამგვარად შეგვიძლია გავაგრძელოთ ამ ორი პროდუქტის დანახარჯების კალკულაცია, მუდმივი ზედნადები ხარჯების დამატებით, რის შედეგადაც გამოვითვლით თითოეული პროდუქტის სრულ საწარმოო დანახარჯებს, დანახარჯთა სრული კალკულაციის ტრანსფორმირების მეთოდით.

ცხრილი 1

ბიუჯეტი	ჩვეულებრივი	ლუქსის კლასი
ნარმობის მოცულობა (ერთეულები)	20,000	2,000
	\$	\$
პირდაპირი მასალა	10.00	12.00
პირდაპირი შრომითი დანახარჯები	60.00	72.00
ცვლადი ზედნადები ხარჯები	5.00	6.00
ზღვრული დანახარჯები	75.00	90.00
მუდმივი ზედნადები ხარჯები	10.00	12.00
მთლიანი საწარმოო დანახარჯი	85.00	102.00

1-ელ ცხრილში დამატებულია მუდმივი ზედნადები ხარჯები, რომელთა შთანთქმაც განხორციელდა თითოეულ პროდუქტზე.

ჩვეულებრივი:

(5 კაცსაათი × მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი \$2/კაცსაათი) = \$10.

ლუქსის კლასის:

(6 კაცსაათი × მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი \$2/კაცსაათი) = \$12.

ჩვენ გამოვითვალეთ ორივე პროდუქტის მთლიანი საწარმოო დანახარჯები დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდით. თუ წარმოება ბიუჯეტის შესაბამისად განხორციელდება, მაშინ მთლიანი საწარმოო დანახარჯები იქნება $(20,000 \text{ ერთეული} \times \$85) + (2,000 \text{ ერთეული} \times \$102) = \$1,904,000$.

ჩვენ მიერ ზოგად ასპექტებში აღნერილი ტრადიციული მიდგომის გამოყენება წარმატებულია მხოლოდ გარკვეულ პირობებში:

1. როდესაც მუდმივი დანახარჯები შედარებით არ არის მასალისა და შრომით დანახარჯებთან შედარებით. ასეთი სიტუაცია, როგორც წესი, ისეთ საწარმოო გარემოში გვხვდება, სადაც არ გამოყენება რთული და ძვირად ღირებული მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები;
2. მუდმივი დანახარჯების დიდი ნაწილი დროის გარკვეულ პერიოდში/დროთა განმავლობაში წარმოიშობა;
3. ხანგრძლივი საწარმოო ციკლების განმავლობაში იდენტური, სტანდარტული პროდუქტები იწარმოება, რომლებსაც მინიმალური ინდივიდუალური მახასიათებლები აქვთ.

თუმცა, თანამედროვე ეპოქაში საწარმოო პროცესების უმეტესობაში მაღალ დონეზე ავტომატიზებული, ძვირად ღირებული წარმოების საშუალებები გამოიყენება, რომლებიც იმდენად არის ავტომატიზებული, რომ ზოგიერთ კომპანია სამუშაო ძალის დანახარჯების განცალკევებით აღრიცხვას საერთოდ არ აწარმოებს, რადგან პრაქტიკულად ძალიან ცოტა სამუშაო ძალა გამოიყენება წარმოებაში. ამის ნაცვლად, ქარხნის სამუ-

შაო ძალა/შრომითი დანახარჯები უბრალოდ მიიჩნევა მუდმივ ზედნადებ ხარჯებად და ჩაირთვება სანარმოს მართვის, მისი მანქანა-დანადგარების მომსახურებისა და რთული საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის მომსახურების ზედნადებ ხარჯებში, რომლის მეშვეობითაც ხდება სანარმოო პროცესის კოორდინირება.

გარდა ამისა, ბევრი კომპანია იყენებს პროდუქტების შეკვეთით დამზადების მიდგომას, რათა უზრუნველყონ თავისი პროდუქტის მეტი ინდივიდუალობა და სხვა პროდუქტისგან გამორჩევადობა და შეძლონ შედარებით მაღალი მარჯების მიღება. მაგალითად, პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელ კომპანია დელის (Dell) აქვს ვებგვერდი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, თვითონ მიუთითონ კომპიუტერის სასურველი პარამეტრები, მეხსიერების სიდიდე, სიმძლავრე, პროცესორის სიჩქარე და ა.შ. შემდეგ ეს ინფორმაცია მიემართება კომპანიის ავტომატიზებულ სანარმოო სისტემაში, სადაც აეწყობა შეკვეთილი კომპიუტერი, მეტ-ნაკლებად ავტომატურად.

ბევრი კომპანია, ნაცვლად იმისა, რომ მომხმარებლებს შესაძლებლობა მისცეს, თვითონ მიუთითონ პროდუქტის სასურველი ტექნიკური მახასიათებლები, ანარმოებენ ფართო ასორტიმენტის პროდუქტიას, იმის იმედით, რომ თითოეული მათგანი მოერგება ბაზისის ამა თუ იმ კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნებს. **1-ელ მაგალითში**, კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ორ პროდუქტს: ჩვეულებრივს და უმაღლესი კლასის (ლუქსის კლასის) ძვირად ღირებულ პროდუქტიას. კომპანიის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ლუქსის კლასის პროდუქტიაზე მოთხოვნა დაბალი იქნება, მაგრამ იმედოვნებს, რომ მას შეძლება ამ პროდუქტზე პრემიალური („ნაღების მომხსნელი“) ფასის დაწესება, რაც მას დიდი მოგების მიღების საშუალებას მაინც მისცემს, თუნდაც მცირე მოცულობით გაიყიდოს ეს პროდუქტია. მეორე მხრივ, ლუქსის კლასის პროდუქტის სანარმოებლად შესაძლოა უცილებელი იყოს ისეთი რესურსები, რომელთა მოხმარება დამოკიდებული არ არის პროდუქტის სანარმოებლად საჭირო დროზე.

ნარმოებისა და მარკეტინგის პროცესების ამგვარი ცვლილებები იმას ნიშნავს, რომ მუდმივი ზედნადები ხარჯების აღრიცხვის ტრადიციული მიდგომა შეიძლება აღარ მიესადაგებოდეს თანამედროვე ბიზნესგარემოს. კომპანიებმა უნდა იცოდნენ ზედნადები ხარჯების გამომწვევი მიზეზები და უნდა ესმოდეთ, რომ ბევრი მათი „მუდმივი დანახარჯი“ შეიძლება საერთოდაც არ იყოს მუდმივი. პროდუქტებზე თუ მომსახურებაზე მათ დანახარჯების განაწილება უნდა სცადონ იმ რესურსების საფუძველზე, რომლებსაც მოიხმარენ.

დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდი

ჩვენ ერთადერთი რამ გვსურს – რაც შეიძლება ზუსტად შევაფასოთ, რა ჯდება პროდუქტის ერთეულის ნარმოება – ანუ გამოვითვალოთ პროდუქტის ერთეულზე განეული დანახარჯები. ამისათვის უნდა გამოვიკვლიოთ, საქმიანობის რომელი სახეობებია აუცილებელი პროდუქტის თითოეული ერთეულის სანარმოებლად, რადგან, როგორც წესი, სწორედ საქმიანობა წარმოშობს შესაბამის დანახარჯებს. ეს არის საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის საფუძველი.

ძველი ტრადიციული მიდგომა მარტივად გულისხმობდა, რომ მუდმივი დანახარჯების განევა უკავშირდება უბრალოდ დროის გასვლას და ამიტომ მათი აღრიცხვა შესაძლებელია იმ კაცსათების (ან მანქანასათების) საფუძველზე, რომლებიც დაიხარჯა პროდუქტის თითო ერთეულის წარმოებაზე. თუმცა, ამგვარი მიდგომა უკვე აღარ მისადაგება თანამედროვე მოთხოვნებს – მრავალფეროვან/დივერსიფირებულ და მოქნილ წარმოებაში დანახარჯების აღრიცხვისთვის/კალკულაციისთვის აუცილებელია უფრო ზუსტი მიდგომის გამოყენება.

საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდის გამოყენება შეიძლება დავყოთ შემდეგ საფეხურებად:

- დაყავით მუდმივი ზედნადები ხარჯები კატეგორიებად საქმიანობის სახეობების მიხედვით. ამგვარ კატეგორიებს შეიძლება ვუწოდოთ დანახარჯების ჯგუფი.
- დანახარჯების თითოეული ჯგუფისთვის განსაზღვრეთ, რა ინვესტ ამ დანახარჯის წარმოშობას. საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის ტერ-მინოლოგით ამ მიზეზს „დანახარჯების მატარებელს“ უწოდებენ, თუმცა შეიძლება უკეთესი იქნებოდა, თუ მასა დავარქმევდით „დანახარჯების (გამომწვევ) მიზეზს“;
- გამოითვალით დანახარჯი „დანახარჯების მატარებლის“ ერთეულისთვის (დანახარჯების ჯგუფი/დანახარჯების მატარებლის მთლიან რაოდენობაზე);
- დანახარჯები პროდუქტებზე გაანაწილეთ დანახარჯების მატარებლების რაოდენობის შესაბამისად, რომელიც აუცილებელია პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად.

გავაგრძელოთ მუშაობა ჩვენს მაგალითზე, სადაც მთლიანი მუდმივი ზედნადები ხარჯები შეადგენს \$224,000-ს.

ქვემოთ (მე-2 მაგალითის) მე-2 ცხრილში მთლიანი ზედნადები ხარჯები განაწილებულია დანახარჯების ჯგუფებზე და ასევე მოცემულია მონაცემები დანახარჯების მატარებლების შესახებ თითოეული პროდუქტისთვის.

ვე-2 მაგალითი

დანახარჯების ჯგუფი	\$	
პარტიის გამოშვების ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები	90,000	
მასალის შენახვა/გადაადგილება	92,000	
სხვა (საიჯარო ქირა და ა.შ.)	42,000	
სულ	224,000	
მონაცემები დანახარჯების მატარებლების შესახებ	ჩვეულებრივი	ლუქსის კლასი
პარტიის მოცულობა	2,000	1000
კომპონენტების რაოდენობა პროდუქციის ერთეულზე	20	30

თუ ჩვენ ვიყენებთ საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდს, დავინახავთ, რომ თვითოლირებულების გამოთვლის ალგორითმის 1-ლი საფეხური უკვე შესრულებულია, რადგან ცხრილიდან ჩანს, რას წარმოადგენს დანახარჯების თითოეული ჯგუფი.

მე-2 საფეხურზე აუცილებელია, რომ დანახარჯების თითოეული ჯგუფისთვის განვსაზღვროთ დანახარჯების მატარებელი.

პარტიის გამოშვების ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების დანახარჯები დამოკი-

დებულია წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების რაოდენობაზე ანუ პარტიების რაოდენობაზე (ვინაიდან ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები სრულდება თითოეული პარტიის გამოშვების წინ):

ჩვეულებრივი: $20,000 \text{ ერთეული} / 2,000 \text{ ერთეული} = 10 \text{ პარტია}$

ლუქსის კლასის: $2,000 \text{ ერთეული} / 100 \text{ ერთეული} = 20 \text{ პარტია}$

სულ: 30

მასალის შენახვის/გადაადგილების დანახარჯები დამოკიდებულია პროდუქტების საწარმოებლად აუცილებელი კომპონენტების რაოდენობაზე.

ჩვეულებრივი: $20,000 \text{ ერთეული} \times 20 \text{ კომპონენტი} = 400,000 \text{ კომპონენტი}$

ლუქსის კლასის: $2,000 \text{ ერთეული} \times 30 \text{ კომპონენტი} = 60,000 \text{ კომპონენტი}$

კომპონენტების საერთო რაოდენობა = 460,000

სხვა მუდმივ ზედნადებ ხარჯებს ჩვენ გავანაწილებთ კაცსაათების საფუძველზე, ვინაიდან არ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც უფრო ეფექტური მეთოდის გამოყენების საშუალებას მოგვცემდა.

1-ლი მაგალითიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ აუცილებელი კაცსაათების რაოდენობა შეადგენს 112,000-ს.

მე-3 საფეხურზე უნდა გამოვითვალოთ დანახარჯების განაკვეთი დანახარჯების მატარებლის ერთეულზე.

პარტიის ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები:

$\$90,000 / 30 = \$3,000 / \text{ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების ერთი აქტი}$

მასალის შენახვა/გადაადგილება:

$\$92,000 / 460,000 \text{ კომპონენტი} = \$0.20 / \text{კომპონენტი}$

სხვა ზედნადები ხარჯები:

$\$42,000 / 112,000 = \$0.375 / \text{კაცსაათი}$

მე-4 საფეხურზე უნდა გამოვიყენოთ დანახარჯების მატარებლის ერთეულისთვის გამოთვლილი დანახარჯების განაკვეთი და დანახარჯები თითოეულ პროდუქტზე უნდა გავანაწილოთ დანახარჯების მატარებლების რაოდენობის შესაბამისად, რომელიც აუცილებელია პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად.

ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები:

ჩვეულებრივი: $(\$3,000 / 2,000 \text{ ერთეული}) = \$1.50 / \text{ერთეული}$

ლუქსის კლასის: $(\$3,000 / 100 \text{ ერთეული}) = \$30 / \text{ერთეული}$

მასალის შენახვა/გადაადგილება:

ჩვეულებრივი: $(\$0.20 \times 20 \text{ კომპონენტი}) = \$4 / \text{ერთეული}$

ლუქსის კლასის: $(\$0.20 \times 30 \text{ კომპონენტი}) = \$6 / \text{ერთეული}$

სხვა ზედნადები ხარჯები:

ჩვეულებრივი: $(\$0.375 \times 5 \text{ სთ}) = \$1.875/\text{ერთეული}$

ლუქსის კლასი: $(\$0.375 \times 6\text{-სთ}) = \$2.25/\text{ერთეული}$

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები პროდუქტების თვითღირებულების შესახებ, რომელიც გამოვითვალეთ საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციისმე თოდით:

	ჩვეულებრივი	ლუქსის კლასი
ზღვრული დანახარჯები (1-ლი ცხრილიდან)	75.00	90.00
ზედნადები ხარჯები:		
ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები	1.50	30.00
მასალის შენახვა/გადადგილება	4.00	6.00
სხვა	1.875	2.25
სულ საწარმოო დანახარჯები	82.374	128.25
შედარება		
სრული საწარმოო თვითღირებულება (დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდი)	85.00	102.00
სრული საწარმოო თვითღირებულება (დანახარჯთა კალკულაცია საქმიანობის სახეობების მიხედვით)	82.375	128.25

შემოწმება:

თუ წარმოება განხორციელდება ბიუჯეტის შესაბამისად, მთლიანი დანახარჯები იქნება = $(20,000 \times \$82.375) + (2,000 \times \$128.25) = \$1,904,000.$

თუ შევხედავთ ცხრილში მოცემულ საწარმოო თვითღირებულების მონაცემებს, ვნახავთ, რომ საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი ლუქსის კლასის პროდუქტის ერთეულის გამოშვების დანახარჯი (თვითღირებულება) გაცილებით მეტია, ვიდრე დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდით გამოთვლილი თვითღირებულება. ეს ძირითადად იმითა გამოწვეული, რომ ლუქსის კლასის ერთეულები იწარმოება პატარა პარტიებად. თითო პარტიისთვის აუცილებელია ძვირად ღირებული ტექნიკური მოსამზადებელი დანახარჯების გაწევა, თუმცა შემდეგ ეს დანახარჯები ნაწილდება ამ პარტიაში წარმოებულ ყველა ერთეულზე, იმის მიუხედავად მცირე რაოდენობისაა ეს ერთეულები (ლუქსის კლასის პროდუქტი) თუ ბევრი (ჩვეულებრივი პროდუქტი). ცხადია, რომ მცირე მოცულობის პარტიების წარმოებაზე დახარჯული ძალისხმევა და გაწეული დანახარჯები უნდა აისახოს პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაში. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ ექნება აზრი ლუქსის კლასის პროდუქციის წარმოებას, თუ მისი მაღალი სარეალიზაციო ფასი არ გაამართლებს მათ წარმოებაზე გაწეულ მაღალ დანახარჯებს.

გარდა იმისა, რომ უფრო ზუსტად არის შესაძლებელი პროდუქციის საწარმოო დანახარჯების (თვითლირებულების) შეფასება, საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალაულაცია უფრო უკეთ გვიჩვენებს, სად შეიძლება დანახარჯების ეკონომიის მიღწევა. გახსოვდეთ, თქვენი სასწავლო მოდულის სახელწოდებაა „საქმიანობის შედეგების მართვა“, რაც იმას გულისხმობს, რომ ბუღალტრებმა აქტიური როლი უნდა ითამაშონ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებაში, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ, პასიურად აწარმოებდნენ მხოლოდ დანახარჯების აღრიცხვას.

მაგალითად, ჩვენს მიერ განხილული მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ ლუქსის კლასის ერთეულების საწარმოო დანახარჯების უდიდეს ნაწილი მოდის ტექნიკურ მოსამზადებელ სამუშაოებზე (ლუქსის კლასის ერთეულების მთლიანი დანახარჯების თითქმის 25%).

თუ კომპანია იმუშავებს შემდეგი პრინციპით: დანახარჯების დიდი ეკონომიის მიღება, სავარაუდოდ, შესაძლებელია იქ, სადაც მაღალია დანახარჯები, ხელმძღვანელობა ბუღალტრისგან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ დაიწყებს ფიქრს იმაზე, რა ზომებს უნდა მიმართოს ამ დანახარჯების შესამცირებლად.

მაგალითად ასე: არსებობს რაიმე მიზეზი (არგუმენტი) იმისა, რომ ლუქსის კლასის ერთეულები უნდა იწარმოებოდეს მხოლოდ 100-ერთეულიან პარტიებად? 200-ერთეულიან პარტიებად წარმოება პროდუქციის ერთეულის თვითლირებულების შემადგენლობაში მნიშვნელოვნად შეამცირებდა ტექნიკურ მოსამზადებელ დანახარჯებს.

მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის ტრადიციული მეთოდის უპრატესობა ისაა, რომ გამოსათვლელად და გამოსაყენებლად მარტივია. თუმცა, ეს სიმარტივე შეიძლება გახდეს დამახინჯებული/შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების მიზეზი (და ცხადია არასწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი), ამიტომ მხოლოდ სიმარტივე არ გამოდგება ტრადიციული მეთოდების გამოყენების გამამართლებელ არგუმენტად.

ორგანიზაციაში საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალაულაციის მეთოდის გამოყენებას უდავოდ უფრო მეტი დრო და ძალისხმევა დასჭირდება, რათა ორგანიზაციამ გულდასმით გამოიკვლიოს დანახარჯების წარმოშობის მიზეზები და შემდეგ ეს დეტალური ინფორმაცია გამოიყენოს დანახარჯების აღრიცხვის/კალაულაციის მიზნებისთვის. ამასთან, უნდა გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი კომპანიის ეფექტიანი მართვის პროცესის არსებითი და განუყოფელი ნაწილი დანახარჯების მატარებლების (გამომწვევი მიზეზების) და დანახარჯების ცვლილების მიზეზების დადგენა.

სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა საქმიანობის შედეგების
მართვის მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა
უურნალი „Student accountant“, 2019 წლის დეკემბერი

მონაცემთა ანალიზი

მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

ამ სტატიის შემდეგ გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნით ზოგიერთი ისეთი საკითხის შესახებ, რომლებიც აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ აუდიტში მონაცემთა ანალიზის გამოყენებისას. უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის სასწავლო პროგრამის მიხედვით თქვენ უნდა ფლობდეთ შემდეგ უნარებს:

- უნდა შეგეძლოთ მსჯელობა იმის თაობაზე, როგორ შეიძლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება აუდიტორის დასახმარებლად, კომპიუტერის მეშვეობით აუდიტის ჩასატარებლად და როდის და როგორ არის შესაძლებელი მონაცემთა ანალიზის გამოყენება; ასევე
- უნდა შეგეძლოთ მსჯელობა ახალი ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე მიღწევების, მათ შორის მონაცემთა მასივებისა და მონაცემთა ანალიზის გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, ასევე აუდიტის პროცესსა და აუდიტის ხარისხზე ამგვარი ტექნოლოგიების პოტენციური გავლენის თაობაზე.

გარდა ამისა, კანდიდატებს კარგად უნდა ესმოდეთ, რა იგულისხმება ტერმინში „მონაცემთა ანალიზი“, როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტის გამოყენება აუდიტში და როგორ შეუწყობს ეს ხელს აუდიტის ეფექტურობის ამაღლებას.

რა არის მონაცემთა ანალიზი?

მონაცემთა ანალიზი, როგორც ფენომენი, დიდი ხანია არსებობს სხვადასხვა ფორმით და დიდი ხანია გამოიყენება სხვადასხვაგვარი კვლევისტების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა მიზნით, ეკონომიკის დარგებში, მეწარმე სუბიექტებში და ა.შ., მაგრამ თანამედროვე მეწარმე სუბიექტები თავიანთი საქმიანობის გასაუმჯობესებლად სულ უფრო ახალ, უფრო დახვეწილ და თანამედროვე მეთოდებს პოულობენ მონაცემთა ანალიზის ჩასატარებლად. მონაცემთა ანალიზი კომპანიებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ ახალი შესაძლებლობები, დაახარჯების ეკონომიკის გზები და უზრუნველყონ უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება უფრო სწრაფად.

მონაცემთა ანალიზი, როგორც კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დღეს ყველგან გამოიყენება პიზნესში – ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შესაძლებლობის გამოსავლენად თუ მომხმარებლების დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობის გამოსავლენად, რათა კომპანიამ მთელი ძალისხმევა დროულად მიმართოს მომხმარებლთა წახალისებასა და შენარჩუნებაზე.

საბაზო დონეზე მონაცემთა ანალიზის მეშვეობით იკვლევენ არსებულ მონაცემებს სათანადო დასკვნების გამოსატანად. ცხადია, ეს არ არის ახალი კონცეფცია, მაგრამ დღეს აშკარად ჩანს მრავალჯერადი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების უფრო ინტეგრირებული, კომპლექსური და დროული გამოყენების ზრდის ტენდენციები ბიზნესგადაწყვეტილებების დასაბუთების ან დასკვნების გამოტანის მიზნით. სავარაუდოდ, კომპანიები ანალიზისთვის იყენებენ როგორც შიდა, ისე გარე მონაცემებს და ასევე როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მონაცემებს. ხშირად ამგვარი ანალიზის-თვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება, რომელსაც შეუძლია

ბევრი სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული და სხვადასხვა ფორმატით წარმოდგენილი ინფორმაციის ჯერ გაერთიანება, შემდეგ კი მათი გაანალიზება. ზოგიერთ შემთხვევაში, ანალიზი ჩვეულებრივ ტექსტთან ერთად შესაძლოა ითვალისწინებდეს აუდიო და ვიზუალური ფორმატით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზსაც.

რა სარგებლობა მოაქვს მონაცემთა ანალიზს?

მონაცემთა ანალიზის გამოყენების შესაძლებლობები და ხერხები ეკონომიკაში ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ის მენარმე სუბიექტები, რომელიც მას იყენებენ. მონაცემთა ანალიზი შესაძლოა ისეთივე მარტივი იყოს, როგორც კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავება არსებული საბაზისო მონაცემებიდან, ან ძალიან რთული, როგორიცაა, მაგალითად სამეცნიერო კვლევის შედეგების სტატისტიკური გამოკვლევა ჰიპოთეზების შესამოწმებლად.

მენარმე სუბიექტებს მონაცემთა ანალიზის გამოყენება შეუძლიათ ბაზრის ტენდენციების პროგნოზირებისთვის ან მომხმარებელთა ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მომხმარებლების მოსაზრებებისა და გამოხმაურების მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის (DM) ჩატარების შედეგად გამოვლენილი განმეორებითი საერთო ფრაზების მეშვეობით შესაძლებელია წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, სად არის საჭირო მომხმარებლების მომსახურების გაუმჯობესება, ან ყველზე დიდი ალბათობით რომელ კონკურენტებთან გადასვლა მოსალოდნელი მომხმარებლების მხრიდან. ხმის ნიმუშის ამოცნობის ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია მომხმარებელთა უკმაყოფილების სფეროების გამოსავლენად. სამართალადამცავ ორგანოებს შეუძლიათ მომხდარი დანაშაულის ანგარიშების გაანალიზება განმეორებითი თაღლითობის გამოსავლენად რეგიონებში ან თუნდაც მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამის შედეგად ინტეგრირებული ყოვლისმომცველი მიმოხილვის/ანალიზის ჩატარება. დღეს მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობები შეიძლება შეუზღუდულავიც კი ჩანდეს, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტი იმაზე გაცილებით მეტად სწრაფი ანალიზისა და ადაპტაციის საშუალებას იძლევა, ვიდრე ადამიანებს შეუძლიათ.

როგორ შეუძლიათ აუდიტორულ ფირმებს მონაცემთა ანალიზის გამოყენება?

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) თავის ტერმინების გლოსარში ასე განმარტავს მონაცემთა ანალიზს აუდიტისთვის „კანონზომიერებების, გადახრებისა და შეუსაბამოებების აღმოჩენისა და ანალიზის, ასევე სხვა სასარგებლო ინფორმაციის მოძიების მეცნიერება და ხელოვნება იმ მონაცემებში, რომლებსაც ყერდნობა ან რომლებთანაც დაკავშირებულია აუდიტის საგანი ანალიზის, მოდელირებისა და ვიზუალიზაციის მეშვეობით, აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით“.

უფრო დიდი აუდიტორული ფირმები და დღეს უკვე მცირე ფირმებიც სულ უფრო ხშირად იყენებენ მონაცემთა ანალიზს აუდიტში, რისკის შესამცირებლად და დამკვეთისთვის სარგებლის გასაზრდელად. უფრო დიდ ფირმებს ხშირად აქვთ რესურსები მონაცემთა ანალიზის საკუთარი პლატფორმების შესაქმნელად, ხოლო მცირე ფირმებმა შესაძლოა ამჯობინონ ბაზარზე არსებული მზა სტანდარტული პროგრამული პაკეტის შეძენა. დღეს არ არსებობს აუდიტის მონაცემთა ანალიზისთვის ერთი უნივერსალური ინსტრუმენტი, მაგრამ არსებობს მრავალი ფორმა, რომლებიც შემუშავებულია თვითონ ფირმების მიერ საკუთარი მიზნებისთვის. ეს ინსტრუმენტები, როგორც წესი, შემუშავებულია სპეციალისტების მიერ და მონაცემების წარმოდგენილი ითვალისწინებულის ვიზუალური

მეთოდების (როგორიცაა გრაფიკები) გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ტენდენციებისა და კავშირურთიერთობების გამოვლენას და მთლიანი სურათის დანახვას.

აუდიტორებისთვის მონაცემთა ანალიზის გამოყენების მთავარი მამოძრავებელი ძალა აუდიტის სარისხის გაუმჯობესებაა. ეს ინსტრუმენტი აუდიტორებს საშუალებას აძლევს, უფრო ეფექტურად ჩატარონ დიდი მოცულობის მონაცემების აუდიტი, რომლებიც მსხვილ დამკვეთ სუბიექტებში საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებში ინახება და ამ სისტემების მიერ არის დამუშავებული. აუდიტორებს შეუძლიათ ამ სისტემებიდან დამკვეთის მონაცემების ამოღება, საკუთარი (აუდიტის) მიზნებისთვის გამოყენება და მათი ანალიზის ჩატარება. ასე მათ საშუალება ეძლევათ უკეთ შეიცნონ დამკვეთის ინფორმაცია და უკეთ გამოავლინონ რისკები.

მონაცემთა ანალიტიკურ ინსტრუმენტებს შეუძლია ყველანაირი მონაცემის გარდაქმნა და წინასწარ განსაზღვრული ფორმით/ფორმატით წარმოდგენა, რაც გასაგები იქნება როგორც აუდიტორებისთვის, ისე დამკვეთებისთვის. უფრო მეტიც, მათი მეშვეობით შესაძლებელია დამკვეთის სპეციფიკურ რისკებზე მორგებული აუდიტის პროგრამების შექმნა ან მონაცემების მიწოდება უშუალოდ კომპიუტერის მეშვეობით ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურებისთვის, რის შედეგადაც აუდიტორს უფრო ეფექტური საშუალებით შეუძლია შედეგის მიღება.

მონაცემთა ანალიზის გამოყენების რამდენიმე მაგალითი აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად:

- * ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ტესტირება – ბოლოს შეძენილი მარაგების შედარება ამავე მარაგის ბოლო გაყიდვასთან და იმის დადგენა, რა ფასად განხორციელდა მარაგის რეალიზაცია;
- * ამონაგების ტენდენციების ანალიზი პროდუქტებისა და რეგიონების მიხედვით;
- * შესყიდვის შეკვეთების შედარება ინვოისებთან (შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურებთან) და გადახდებთან (გადახდის დოკუმენტაციასთან);
- * მოვალეობების დანაწილების ტესტირება ოპერაციების დამუშავებაში მონაწილე მომხმარებლების გამოვლენით, ოპერაციებზე დართული მეტამონაცემების (მონაცემები მონაცემების შესახებ) მეშვეობით.

მონაცემთა ანალიზის უპირატესობები

მონაცემებზე გაფართოებულმა წვდომამ და ამ მონაცემების სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენების გაზრდილმა შესაძლებლობამ, ასევე მონაცემთა ანალიტიკური ინსტრუმენტების შეთანხმებულად და თანმიმდევრულად გამოყენებამ უნდა აამაღლოს აუდიტის ხარისხი და ეფექტურობა, მაგალითად ამგვარად:

- დამკვეთისა და მისი ბიზნესის უფრო საფუძვლიანი გააზრება დამკვეთის მონაცემების უფრო ღრმა ანალიზისა და ვიზუალურად წარმოდგენილი შედეგების საშუალებით, როგორიცაა ელექტრონული საინფორმაციო პანელები, ტექსტური ან რიცხვითი ინფორმაციის ნაცვლად, რაც აუდიტორებს საშუალებას აძლევს, უკეთესად შეიცნონ ბიზნესის ტენდენციები და კანონზომიერებები და ადვილად გამოავლინონ ანომალიები ან მაქინაცია;

- უკეთესი კონცენტრირება რისკზე. ეს ხელს შეუწყობს რისკის უკეთ შეცნობას, რაც აუდიტორს დაეხმარება დამკვეთთან დაკავშირებული რისკების გამოვლენაში და იგი შეძლებს, რომ ტესტირება უკეთესად იყოს მიმართული რისკიან სფეროებზე. ამ პროცესის ეფექტუანობას ხელს შეუწყობს ასევე აუდიტორის დროის გამოთავისუფლებაც, რომელიც იხარჯება რუტინული მონაცემების ანალიზზე და, მაშასადამე, აუდიტორი უფრო მეტ დროს დაუთმობს რისკიანი სფეროების აუდიტს;
- თანამიმდევრული და შეთანხმებული მუშაობის შესაძლებლობის გაფართოება ჯგუფის აუდიტში, სადაც ყველა აუდიტორი ერთსა და იმავე ტექნიკურობისა და პროცესებს იყენებს, რაც ჯგუფის აუდიტორს საშუალებას აძლევს, გარკვეული ინსტრუმენტები მიმართოს კონკრეტული კომპონენტის აუდიტში გამოსაყენებლად და ტესტირება ჩატაროს მთელი ჯგუფის ფარგლებში. ამას დასჭირდება ყველა კომპონენტი კომპანიის შესაბამისი თანხმობა, ხოლო თანხმობის მიღების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ჯგუფისა და მისი საქმიანობის შესახებ უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა;
- აუდიტის ეფექტუანობის ამაღლება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით დიდი მოცულობის მონაცემების ძალიან სწრაფი დამუშავებისა და აუდიტორებისთვის საფუძვლიანი ანალიზის შესაძლებლობის გაფართოების მეშვეობით, რომელსაც დაეყრდნობა მათი დასკვნები, დაზოგავს აუდიტორული პროცედურების ჩატარების დროს და შესაძლებელი გახდება უფრო მეტი ყურადღების დათმობა განსჯასა და რისკიან სფეროებზე. მაგალითად, მონაცემთა ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია გაცილებით დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობების ტესტირება, ხშირად 100% -იანი ტესტირების ჩატარებაც კი, რაც ხელს უწყობს უფრო გაფართოებული აუდიტორული პროცედურების ჩატარებას და ამცირებს ან საერთოდ აღმოფხვრის შერჩევის რისკს;
- აუდიტორს უფრო ადვილად შეუძლია დამკვეთის მონაცემების სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენება აუდიტორული ტესტირების ფარგლებში, მაგალითად ხელმძღვანელობის დაშვებებზე მგრძნობელობის ანალიზის ჩატარება;
- იზრდება თაღლითობის გამოვლენის შესაძლებლობა, რადგან მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების მეშვეობით შესაძლებელია ყველა მონაცემის ერთდროულად გამოთხოვა სისტემიდან და მოვალეობების დანაწილების ტესტირების ჩატარება; ასევე
- შესაძლებელია მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის გადაცემა დამკვეთისთვის, დამკვეთების თვალში აუდიტის მნიშვნელობის კიდევ უფრო ამაღლება და ხელმძღვანელობისთვის რეალური სარგებლის მოტანა, კერძოდ იმით, რომ აუდიტორების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად მათთვის ხელმისაწვდომი გახდება მეტად სასარგებლო ინფორმაცია, თუმცა შესაძლოა სრულიად სხვა კუთხით.

მონაცემთა ანალიზთან დაკავშირებული გამოწვევები და პრობლემები

აუდიტორულ ფირმებში მონაცემთა ანალიზის (ინსტრუმენტების) დანერგვა ფირმისთვის უპრობლემოდ არ ჩაივლის. ამჟამად ამასთან დაკავშირებით არ არსებობს რამე ერთგვაროვანი მიდგომა ან ფართოდ აღიარებული სტანდარტი აუდიტორულ ფირმებში და თუნდაც ერთი ფირმის ფარგლებში*. ამჟამად არ არსებობს არც კონკრეტული მარეგულირებლი ნორმა ან სახელმძღვანელო მითითება, რომელიც მოიცავს აუდიტში მონაცემთა ანალიზის გამოყენების ყველა შესაძლებლობას. ეს ართულებს ხარისხის სახელმძღვანელო პრინციპების დადგენას. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს რომ ფირმებს, რომლებსაც აქვთ რესურსები მონაცემთა ანალიზის საკუთარი ინსტრუმენტების შესაქმნელად, შესაძლოა კონკურენტული უპირატესობა ჰქონდეთ ბაზარზე, რაც ფაქ-

ტოპორივად გაზრდის „უფლებულს“ უმსხვილეს ფირმებსა და მცირე ფირმებს შორის და შეამცირებს ეფექტური კონკურენციის შესაძლებლობას აუდიტის პროფესიაში. მონაცემთა ანალიზის, როგორც აუდიტის ინსტრუმენტის დანერგვით, შესაძლოა თავი იჩინოს სხვა პრობლემებმაც:

- მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა. დამკვეთის მონაცემების ასლების შექმნა და შენახვა წარმოქმნის მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის რისკს, რადგან ამჟამად აუდიტორული ფირმები ინახავენ დამკვეთების დიდი მოცულობის დეტალური მონაცემების ასლებს. ეს მონაცემები შესაძლოა ფირმებმა ბოროტად გამოიყენონ ან ვიზმეტ უკანონო წვდომა მოიპოვოს მათზე, თუ ფირმის მონაცემთა უსაფრთხოების მექანიზმები სუსტია ან სარვეზით მუშაობს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სამართლებრივი შედეგები ან ფირმის რეპუტაციის შელახვა;
- სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის ზემოაღნიშნული მიზეზების გამო და ასევე იმის გაცნობიერებით, რომ მონაცემთა ანალიზის, როგორც აუდიტის ინსტრუმენტის დანერგვა შესაძლოა ხელშემშლელი ფაქტორი იყოს ბიზნესისთვის, აუდიტის დამკვეთებმა შესაძლოა არ მოისურვონ, რომ აუდიტორულ ფირმებს საკმარისი წვდომის შესაძლებლობა მისცენ თავიანთ სისტემებზე აუდიტის მონაცემების ანალიზის ჩასატარებლად;
- დამკვეთის სისტემებიდან ამოღებული მონაცემების სისრულე და მთლიანობა შეიძლება არ იყოს გარანტირებული. სისტემიდან მონაცემების ამოსაკრებად ხშირად აუცილებელია სპეციალისტების დახმარება და შესაძლოა შეზღუდვებიც იყოს დაკავშირებული სისტემიდან მონაცემთა მოპოვებასთან/ამოკრებასთან, თუ ფირმას არ აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები ან არ აქვს სათანადო წარმოდგენა დამკვეთის მონაცემებზე, რათა უზრუნველყოს ყველა საჭირო მონაცემის შეგროვება. ასე განსაკუთრებით შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დამკვეთი იყენებს მონაცემთა რამდენიმე სისტემას. გარდა ამისა, შესაძლოა დამკვეთს მხოლოდ შერჩეულ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემა შეეძლოს აუდიტორის-თვის ან მონაცემების ამოსაკრებად თვითონ დამკვეთს სჭირდებოდეს სისტემაზე გარკვეული ქმედებების განხორციელება;
- დამკვეთის სისტემებთან თავსებადობის საკითხებმა შესაძლოა სტანდარტული აუდიტორული ტესტები არაეფექტური გახადოს, თუ მონაცემები ხელმისაწვდომი არ იქნება საჭირო ფორმატით;
- აუდიტორული ფირმის პერსონალი შესაძლოა არ იყოს კომპეტენტური, იმ თვალსაზრისით, რომ შეეძლოთ მონაცემების ზუსტი ბუნების გაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება პერსონალის გადამზადება, რაც შეიძლება ძვირად ღირებული პროცესი იყოს;
- აუდიტის ფაილში შენახული არასაკმარისი ან შეუსაბამო მტკიცებულებები, იმის გამო, რომ აუდიტორებმა სრულყოფილად ვერ გაიაზრეს პროცედურებისა და საბაზისო მონაცემების არსი ან სრულყოფილად არ შეადგინეს სამუშაო დოკუმენტაცია. მაგალითად, მონაცემთა ანალიტიკური ინსტრუმენტის მიერ შესრულებული აუდიტორული პროცედურის შედეგების ფაილის სკრინშოტში შესაძლოა არ ინერგბოდეს მონაცემების შეყვანის პირობები და ტესტირების დეტალები*, და
- თავს იჩენს აუდიტორული ფირმის მართვაში პრობლემების შენახვასა და წვდომასთან დაკავშირებით აუდიტორული მტკიცებულებების შენახვისთვის აუცილებელი პერიოდის განმავლობაში. აუდიტორულ ფირმაში მოპოვებული მონაცემები რამდენიმე წლით უნდა ინახებოდეს ისეთი ფორმით, რომლის ხელახლა შემოწმებაც შესაძლებელია. ვინაიდან შესანახი იქნება დიდი მოცულობის მონაცემე-

- ბი, ფირმებს შეიძლება დასჭირდეთ ისეთი აპარატურული უზრუნველყოფის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დონის ინფორმაციის შენახვას, ან მონაცემების შენახვის ფუნქციის შესრულების გადაცემა შესაბამისი მომსახურე ორგანიზაციისთვის, რაც ზრდის მონაცემების დაკარგვისა და კონფიდენციალურობის რისკს;
- რეალურ სინამდვილესა და იმ დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს შორის განსხვავება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ვინაიდან აუდიტორი ზოგიერთ სფეროში 100%-იან ტესტირებას ატარებს, დამკვეთის მონაცემები 100%-ით სწორი უნდა იყოს.

დასკვნა

მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ დამკვეთის სისტემებთან უშუალოდ დაკავშირების შესაძლებლობა სიტემიდან მონაცემების ამოსაღებად, აქვთ იმის უნარიც, გააანალიზონ ყველა გარიგება/ოპერაცია და ნაშთი და წარმოადგინონ ანგარიში. კომპიუტერიზაციის მასშტაბებისა და ოპერაციების მოცულობის ზრდამ აუდიტორული პროცედურები ჩამოაშორა ყველა ოპერაციასა და ნაშთს და უკვე კარგა ხანია აუდიტის ჩატარებლად რისკზე დაფუძნებული მიდგომა დაამკვიდრა, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა მოლოდინებს შორის დაშორება/განსხვავება.

ახლა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მონაცემთა ანალიზის მეშვეობით ნაწილობრივ აღდგეს ეს ბალანსი, ხოლო აუდიტორები შეძლებენ უფრო მეტი ოპერაციისა და ნაშთის შემონაბას/ტესტირებას. ამან შეიძლება გაზარდოს გარკვეული ტიპის თაღლითობის გამოვლენის შესაძლებლობა ან დამკვეთების ბიზნესის არაეფექტურობისა და შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა.

თუმცა მონაცემთა ანალიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით შესაძლებელი არ იქნება დამკვეთის მომავლის პროგნოზირება და აუდიტორების სამუშაო მაინც აუცილებელი იქნება კომპანიის განსჯის/გადაწყვეტილებების, მისი მომავლისა და წარსულის შესაფასებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ აუდიტორები ჯერ კიდევ არ შეუცვლია კომპიუტერებს – აუდიტორების კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება ისევ ხარისხიანი აუდიტის ჩატარების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სტატია მოამზადა უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი
მომსახურების მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა.
შურნალი „Student accountant“, 2019 წლის აგვისტო

2021 წლის ივლისის გამოცდების ანალიზი

F1/ბბ „ბუღალტერი ბიზნესში“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – საგამოცდო მასალა დაყოფილია ორ ნაწილად: „ა“ ნაწილი მოიცავს ორმოც არჩევითპასუხიან (ათი 1-ქულიანი და ოცდაათი 2-ქულიანი) დავალებას, ხოლო „ბ“ ნაწილი – ხუთ 6-ქულიან მრავალდავალებიან ამოცანას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

გვინდა კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ივლისის გამოცდაზე გამოსული კანდიდატების უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღო გამსვლელი ქულა.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ბიზნესორგანიზაცია და სტრუქტურა;
- დაინტერესებული მხარეები ბიზნესორგანიზაციაში;
- პროფესიული ეთიკა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ბიზნესში;
- კადრების მოზიდვა და შერჩევა;
- ფინანსური სისტემები და პროცედურები;
- ინდივიდუებისა და ჯგუფების მოტივაცია;
- წვრთნა და სწავლება სამუშაო ადგილზე;
- კომუნიკაცია ბიზნესში.

მაგრამ იყო ისეთი თემებიც, რომლის კითხვებზეც კანდიდატებს გაუჭირდათ სწორი პასუხის გაცემა:

- ბიზნესორგანიზაცია;
- მართვა და სოციალური პასუხისმგებლობა;
- ორგანიზაციული კულტურა ბიზნესში;
- გარე ფაქტორების ანალიზი – პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები;
- კონკურენციის ფაქტორები;
- აუდიტი და ფინანსური კონტროლი;
- ლიდერობა, მართვა და ზედამხედველობა;
- ინდივიდუალური მიღწევების განხილვა და შეფასება.

„ბ“ ნაწილის ამოცანები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- პირველი ამოცანა – თაღლითობა, თაღლითური ქმედება და მისი პრევენცია ბიზნესში;
- მეორე ამოცანა – წვრთნა და სწავლება სამუშაო ადგილზე;
- მესამე ამოცანა – ინდივიდუებისა და ჯგუფების მოტივაცია;
- მეოთხე ამოცანა – პერსონალური ეფექტურობა სამუშაო ადგილზე;
- მეხუთე ამოცანა – კომუნიკაცია ბიზნესში.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხა ყველა ამოცანას, **თუმცა გაუჭირდათ მესამე ამოცანის ამოხსნა.**

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, რომ „ა“ ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არც ერთი პასუხი. ასეთი მიღვომა მცდარია – თუ არ იცით, რომელი პასუხია სწორი, გამორიცხეთ მცდარი პასუხები და მონიშნეთ ის, რომელიც თქვენი აზრით სწორია. ჩვენი დაკვირვებით, გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწოროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, გვინდა **ხაზი გავუსვათ დროის სწორი განაწილების აუცილებლობას.** F1/ბბ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 35 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 40 წუთში.

გარდა ამისა, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, რომ ყველა დავალების პირობა ცხადად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ კითხვებზე პასუხის გაცემისას დიდხანს ნუ ფიქრობთ, ნუ დაკარგავთ დროს. თუ გაგიჭირდათ კითხვაზე პასუხის გაცემა, ყურადღებით წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი და გამორიცხეთ ცალსახად მცდარი ვარიანტ(ები); შემდეგ კი ორი პასუხიდან აირჩიეთ ისეთი, რომელიც თქვენი აზრით, სწორია. მაგრამ ნუ გაჩერდებით და ნუ დაკარგავთ ბევრ დროს ისეთი დავალების ამოხსნაზე, რომლის თეორია ცუდად იცით ან დაგავიწყდათ. გადადით შემდეგ დავალებაზე.

F1/ბბ „ბულალტერი ბიზნესში“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	59.6
მინიმალური ნიშანი	31.0
მაქსიმალური ნიშანი	82.0
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	4
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	85%	91%	95%	93%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	82%	86%	84%	88%

F2/მა „მმართველობითი ალრიცხვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა: „ა“ ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო „ბ“ ნაწილი – ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 2 საათი და 15 წუთი.

„ა“ ნაწილის ჩვიდმეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდასამი – თეორიული. კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- დანახარჯების კლასიფიკაცია – დანახარჯის ერთ-ერთი ელემენტის ქცევა;
- დანახარჯების კლასიფიკაცია – მინი-მაქსის მეთოდი;

- მარაგების აღრიცხვა;
- შრომითი დანახარჯების აღრიცხვა;
- ზედნადები ხარჯების აღრიცხვა;
- კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით;
- სტატისტიკური მეთოდები.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მმართველობითი აღრიცხვა – ცენტრების პასუხისმგებლობა;
- ინფორმაციის წარდგენა;
- შეკვეთის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- გადახრების კალკულაცია და ანალიზი;
- შედეგიანობის შეფასების გამოყენება.

„ბ“ ნაწილი მოიცავდა ორ ამოცანას, რომლებიც შედგენილი იყო შემდეგი თემების მიხედვით:

პირველი ამოცანა – ბიუჯეტირება;

მეორე ამოცანა – შედეგიანობის შეფასება.

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ამომწურავი პასუხი გასცეს „ბ“ ნაწილის პირველ ამოცანას, თუმცა ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა, კერძოდ, მათ გაუჭირდათ:

- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლა;
- ლევერიჯის გამოთვლა;
- ყველაზე სასარგებლო შედეგიანობის შეფასების ახალი დამატებითი საოპერაციო საზომის განსაზღვრა.

კანდიდატების უმრავლესობამ გასცა პასუხი „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, რომ „ა“ ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო – 2 სთ და 15 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, **გვინდა ხაზიგავუსვათ დროის სწორი განაწილების აუცილებლობას.** F2/მა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა 45 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 30 წუთში.

F2/მა „მმართველობითი აღრიცხვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	60
მინიმალური ნიშანი	32
მაქსიმალური ნიშანი	89
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	6
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	87%	76%	82%	76%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	64%	72%	69%	68%

F3/ფა „ფინანსური ალრიცხვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა:

„ა“ ნაწილი მოიცავდა ორმოც 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას, ხოლო „ბ“ ნაწილი – ორ 10-ქულიან ამოცანას. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 2 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ცხრამეტი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ოცდაერთი – თეორიული.

კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- კონტექსტი და ფინანსური ანგარიშგების მიზანი;
- ორადი ჩანერისა და ბუღალტრული ალრიცხვის სისტემების გამოყენება;
- ბუღალტრული ანგარიშები, პირველადი გატარების წიგნები და ჟურნალები;
- შესყიდვებსა და გაყიდვებზე დარიცხული დღგ;
- მარაგი;
- ბასს 38 – „არამატერიალური აქტივები“;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები;
- ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია.

კანდიდატებს გაუჭირდათ შემდეგი თემების მიხედვით შედგენილი დავალებების ამოხსნა:

- დარიცხვები და წინასწარგადახდები;
- საცდელი ბალანსის მომზადება;
- შეცდომების კორექტირება და დამხმარე ანგარიშები;
- არასრული ჩანაწერები;
- ფინანსური მდგომარეობის, მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების მომზადება;
- შენიშვნები/ჩანაწერები გასაჯაროებული ინფორმაციის შესახებ;
- ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

„ბ“ ნაწილი მოიცავდა ორ ამოცანას, რომლებიც შედგენილია შემდეგი თემების მიხედვით:

პირველი ამოცანა – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება;

მეორე ამოცანა – ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშების მომზადება.

კარგად მომზადებული კანდიდატების უმრავლესობამ ორივე ამოცანა დაწერა, თუმცა ბევრს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა. სუსტად მომზადებულმა კანდიდატებმა ან საერთოდ არ დაწერეს ამოცანები, ან დაუშვეს ბევრი შეცდომა.

კანდიდატების უმრავლესობამ პასუხი გასცა „ა“ და „ბ“ ნაწილის ყველა კითხვას, თუმცა, იყო შემთხვევები, რომ ა ნაწილში კანდიდატებმა არ შემოხაზეს არცერთი პასუხი. გამოცდის დრო – 2 სთ და 30 წუთი – საკმარისია, რომ კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მოასწროს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, გვინდა ხაზი გავუსვათ დროის სწორი განაწილების აუცილებლობას. F3/ფა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 2 საათში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 30 წუთში.

F3/ფა „ფინანსური ალიცენზა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	52
მინიმალური ნიშანი	18
მაქსიმალური ნიშანი	92
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	7
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	2

პაზი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. ოქტომბერი	2021 წ. ივლისი
	65%	71%	77%	63%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	71%	77%	73%	74%

F4/ქმ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ოცდახუთი 4-ქულიანი კაზუსი, რომლებიც ეხებოდა ყველა გავლილ თემას.

კანდიდატებმა კარგად უპასუხეს კაზუსებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 4 და მუხლი 5;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 12 და მუხლი 11
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 15;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 245 და 243;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 47 და 51.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 25;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 255 და მუხლი 258;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 576;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 51 და მუხლი 52;

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 54;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 5;
- საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 43.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა კაზუსს გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი, ანუ თითო კაზუსის პასუხი კანდიდატმა უნდა დაწეროს 8 წუთში.

F4/ქმ „ქართული ბიზნესსამართალი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	61
მინიმალური ნიშანი	39
მაქსიმალური ნიშანი	85
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	9
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	91%	80%	85%	85%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	83%	88%	86%	86%

F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის რვა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო შვიდი – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- გამოსავლიანობის აღრიცხვა;
- რელევანტური დანახარჯები;
- ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შეფასება და შიდა გადაცემის ფასდადგენა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდი;
- დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით;
- საქმიანობის შედეგების შეფასება არაკომერციულ ორგანიზაციებში და კერძო სექტორის საწარმოებში.

„ბ“ ნაწილის პირველი სცენარი იყო შედგენილი თემაზე „დანახარჯთა კალკულაციის თანამედროვე მეთოდები“, მეორე – „გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა“, ხოლო მესამე – „პიუჯეტის შედგენა“.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა - წრფივი პროგრამირების მოდელი“.

„გ“ ნაწილის მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „საქმიანობის შედეგების შეფასება და კონტროლი“.

კარგად მომზადებულმა კანდიდატებმა მაღალი ქულა მიიღეს პირველი ამოცანის ამოხსნისთვის, მაგრამ ბევრ კანდიდატს გაუჭირდა მეორე ამოცანის ამოხსნა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცეს პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F5/სშმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

F5/სშმ „საქმიანობის შედეგების მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	53
მინიმალური ნიშანი	24
მაქსიმალური ნიშანი	82
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	2
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. ოქტომბერი	2021 წ. ივლისი
	64%	65%	65%	68%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	35%	39%	40%	41%

F6/სპ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ოცი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ოთხი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო თექვსმეტი – თეორიული. კანდიდატებმა საქმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- მუხლი 202. ქონებაზე გადასახადის განაკვეთი;
- მუხლი 145. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესი;
- მუხლი 201. ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი;
- მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა;
- მუხლი 282. დღგ-სათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- მუხლი 8. ტერმინთა განმარტება;
- მუხლი 56. საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციისას;
- მუხლი 275. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება.

„ბ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საშემოსავლო გადასახადი“, მეორე ამოცანა – „მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი), ხოლო მესამე ამოცანა – „დამატებული ღირებულების გადასახადი“.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად დაწერეს პირველი ამოცანის პასუხი, თუმცა ცუდად მომზადებულ კანდიდატებს გაუჭირდათ დეკლარაციის შევსება. სამი ამოცანიდან კანდიდატებმა განსაკუთრებულად ცუდად დაწერეს მეორე ამოცანა, ბევრმა კარგად მომზადებულმა კანდიდატმაც ვერ შეასრულა მოთხოვნილი გაანგარიშებები და ვერ შეავსო დეკლარაცია. მესამე ამოცანა ითვალისწინებდა კოდექსში შესული ცვლილებების ცოდნას და ბევრმა კარგად მომზადებულმა კანდიდატმა მისაღებ დონეზე დაწერა ამ ამოცანის პასუხი, თუმცა ძალიან ბევრ კანდიდატს გაუჭირდა აქციზის და მასთან დაკავშირებული დღგ-ს გამოთვლა.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F6/სბ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათსა და 25 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილი – 2 საათსა და 5 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოხსნას 41-42 წუთში.

F6/სბ „საგადასახადო დაბეგვრა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	57
მინიმალური ნიშანი	33
მაქსიმალური ნიშანი	78
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	2
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	93%	100%	85%	88%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	49%	49%	51%	50%

F7/ფა „ფინანსური ანგარიშება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევით-პასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ცხრა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ექვსი – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- საინვესტიციო ქონების შეფასება;
- კონცეპტუალური საფუძვლები;
- ბასს 41 სოფლის მეურნეობა;
- ბასს 16 ძირითადი საშუალებები;
- ბასს 33 შემოსავალი აქციაზე.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- ფასს 5 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;
- ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები;
- ბასს 23 ნახესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.

„ბ“ ნაწილის რვა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო შვიდი – თეორიული. პირველი სცენარი იყო შედგენილი თემაზე „მატერიალური გრძელვადიანი აქტივები“, მეორე – „ფასს 15 და ფასს 16“, ხოლო მესამე – „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“. „ბ“ ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ მესამე სცენარის დავალებების ამოხსნა.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ფინანსური ანგარიშგების ანალიზი“, ხოლო მეორე – „კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება“. კანდიდატების უმრავლესობამ პირველი ამოცანა უკეთესად დაწერეს.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F7/ფა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

F7/ფა „ფინანსური ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	47
მინიმალური ნიშანი	12
მაქსიმალური ნიშანი	83
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	3
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	3

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	51%	71%	67%	57%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	44%	50%	48%	51%

F8/ამმ „აუდიტი და მარნმუნებელი მომსახურება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო სამი ათქულიანი სცენარი

(თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას), ერთი 30-ქულიანი და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძღვავა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის პირველი სცენარი იყო შედგენილი თემაზე „დაგეგმვა და რისკის შეფასება“, მეორე – თემა „აუდიტის საფუძვლები“, ხოლო მესამე – თემა „მიმოხილვა და ანგარიშება“. „ბ“ ნაწილის დავალებების ამოხსნისას კანდიდატებს გაუჭირდათ პირველი სცენარის დავალებების ამოხსნა.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ამოწმებდა თემის „დაგეგმვა და რისკის შეფასება“ ცოდნას, მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „შიდა კონტროლი და აუდიტორული მტკიცებულება“, ხოლო მესამე ამოცანა – თემას „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“. კანდიდატების უმრავლესობამ კარგად დაწერა პირველი ამოცანის პასუხი, მაგრამ მესამე ამოცანის პასუხი ხშირად სუსტი და არადამაკაყოფილებელი იყო.

კანდიდატების უმრავლესობამ ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძღვათ 3 საათი და 30 წუთი. F8/ამმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის დროუნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილის პირველი ამოცანა (30-ქულიანი) – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილის მეორე და მესამე ამოცანები – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

F8/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	50
მინიმალური ნიშანი	27
მაქსიმალური ნიშანი	76
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	1
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	79%	98%	80%	70%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	36%	41%	39%	39%

F9/ფმ „ფინანსური მართვა“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო თხუთმეტი 2-ქულიანი არჩევითპასუხიან დავალება, სამი ათქულიანი სცენარი (თითოეული მოიცავს ხუთ 2-ქულიან არჩევითპასუხიან დავალებას) და ორი 20-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძღვავა 3 საათი და 30 წუთი.

„ა“ ნაწილის ექვსი დავალება საანგარიშო იყო, ხოლო ცხრა – თეორიული. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად უპასუხეს „ა“ ნაწილის არჩევითპასუხიან დავალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის თემები, რომლის კითხვებს კანდიდატებმა კარგად უპასუხეს:

- ინვესტიციების შეფასება – უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე;
- კაპიტალის სტრუქტურა.

კანდიდატებმა შედარებით ცუდად უპასუხეს კითხვებს, რომლებიც ეხებოდა შემდეგ თემებს:

- კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება;
- კომპანიების შეფასებები და ბაზრის ეფექტურობა;
- დაფინანსების წყაროები.

„ბ“ ნაწილის რვა დავალება საანგარიშო იყო, ხოლო შვიდი – თეორიული. პირველი სცენარი იყო შედგენილი თემაზე „საბრუნავი კაპიტალის მართვა“, მეორე – „კომპანიების დაფინანსება და კაპიტალის ღირებულება“, ხოლო მესამე – „რისკის მართვა“. კანდიდატებმა კარგად ამოხსნეს პირველი სცენარის დავალებები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მცდარი პასუხი გასცეს მეორე და მესამე სცენარის კითხვებს.

„გ“ ნაწილის პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „კაპიტალის ღირებულება“, ხოლო მეორე ამოცანა – თემას „ინვესტიციების შეფასება“. კანდიდატებმა საკმაოდ კარგად დაწერეს პირველი ამოცანის პასუხი, მაგრამ ბევრმა სუსტი პასუხი გასცა მეორე ამოცანის კითხვებს.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. F9/ფმ მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილი უნდა ამოხსნას 1 საათში, „ბ“ ნაწილი – 65 წუთში, ხოლო „გ“ ნაწილი – 1 საათსა და 25 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოიხსნას 42-43 წუთში.

F9/ფმ „ფინანსური მართვა“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	48
მინიმალური ნიშანი	30
მაქსიმალური ნიშანი	70
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაზი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	59%	50%	69%	60%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	44%	52%	45%	53%

P2/სსა „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშება“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ოთხი ამოცანა – ერთი 30-ქულიანი, ერთი 20-ქულიანი და ორი 25-ქულიანი. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშება“ და მოიცავდა სამ ნაწილს.

„ა“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა შვილობილის საფეხურებრივი შესყიდვის ბუღალტრულად ასახვისა და კონტროლის მოსაპოვებლად გადახდილი ფულადი სახსრების ფულადი ნაკადების ანგარიშში ასახვის გაანგარიშებები.

ამოცანის „ბ“ ნაწილში (16 ქულა) მოითხოვებოდა კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების ფულადი ნაკადების ამონარიდის მომზადება.

„გ“ ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა დადგენილგადასახდელიანი საპენსიო სქემის გავლენის ახსნა არაპირდაპირი გზით მომზადებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე.

ბევრმა კანდიდატმა ვერ დაწერა ამ ამოცანის პასუხი და მიიღეს დაბალი ქულები.

მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „ანგარიშგება და ეთიკა“ და შედგებოდა 18-ქულიანი სცენარისგან და ასევე, გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

18-ქულიანი სცენარი, თავის მხრივ, შედგებოდა ოთხი ნაწილისგან.

პირველი ნაწილი ეხებოდა წილობრივ გადახდას (4 ქულა), მეორე ნაწილი – დაკავშირებულ მხარეებს (4 ქულა), მესამე ნაწილი – კომპანიის საოპერაციო სეგმენტებს (4 ქულა), ხოლო მეოთხე ნაწილი მოიცავდა ეთიკურ საკითხებს.

ბევრმა კანდიდატმა სრულყოფილი და ამომწურავი პასუხი გასცა ამოცანის ყველა კითხვას და მიიღეს მაღალი ქულები.

მესამე ამოცანა შედგებოდა ორი, „ა“ და „ბ“ ნაწილებისგან.

„ა“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა საფირმო ნიშნის აღიარებისას კომპნიის წინაშე მდგარი გამოწვევების ახსნა.

„ბ“ ნაწილის პირველ კითხვაში (4 ქულა) მოითხოვებოდა ახსნა, უნდა აღიარებულიყო თუ არა კომპანიის შეძენისას მიღებული სასაქონლო ნიშანი გუდვილისგან განცალკევებულად და იყო თუ არა ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.

„ბ“ ნაწილის მეორე კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის განმარტება და ასევე, სცენარის კონტექსტში ორი ბრენდისთვის იმის განსაზღვრა, იყო თუ არა ისინი განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე.

„ბ“ ნაწილის მესამე კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის მაღაზიების დახურვის ბუღალტრულად ასახვის ახსნა.

კანდიდატების უმრავლესობას გაუჭირდა ამოცანის ამოხსნა, განსაკუთრებით სუსტად დაწერეს ამოცანის „ბ“ ნაწილი.

მეოთხე ამოცანა მოიცავდა ორ „ა“ და „ბ“ ნაწილებს ასევე გათვალისწინებული იყო 2 პროფესიული ქულა.

„ა“ ნაწილის პირველ კითხვაში (6 ქულა) მოითხოვებოდა ბიოლოგიური აქტივების ბუღალტრული ასახვის ჩვენება სცენარის კონტექსტში.

„ა“ ნაწილის მეორე კითხვაში (8 ქულა) მოითხოვებოდა ფინანსური აქტივის ბუღალტრულად ასახვა სცენარის კონტექსტში.

მეოთხე ამოცანის „ბ“ ნაწილი (9 ქულა) მოითხოვდა ადამიანური კაპიტალის განმარტებას და ადამიანური რესურსების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ მსჯელობას.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. P2/სსა მოდულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „ბ“ ნაწილებს შორის **დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად** შემდეგნაირად: კანდიდატმა „ა“ ნაწილის პირველი ამოცანა უნდა ამოხსნას 1 საათში, „ა“ ნაწილის მეორე ამოცანა – 45 წუთში, ხოლო „ბ“ ნაწილის მესამე და მეოთხე ამოცანები – 1 საათსა და 45 წუთში, ანუ თითო ამოცანა უნდა ამოხსნას 52-53 წუთში.

P2/სსა „სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	45
მინიმალური ნიშანი	12
მაქსიმალური ნიშანი	65
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	4

გავი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. ოქტომბერი	2021 წ. ივლისი
	36%	59%	70%	54%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	51%	49%	47%	44%

P4/ფტუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 20-ქულიანი, ერთი 30-ქულიანი და ორი 25-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოხსნელად კანდიდატს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

პირველი ამოცანა ეხებოდა თემას „ინვესტიციების შეფასება“.

„ა“ ნაწილში (9 ქულა) მოითხოვებოდა პროექტის შეფასება წმინდა მიმდინარე ღირებულების, უკუგების შიდა განაკვეთისა და (მიახლოებითი) მოდიფიცირებული უკუგების შიდა განაკვეთის გამოყენებით.

„ბ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა პროექტის დურაციის გამოთვლა და მიღებული შედეგების მნიშვნელობის განხილვა.

„გ“ ნაწილში (11 ქულა) მოითხოვებოდა ორი პროექტის შეფასება და კომპანიისთვის რეკომენდაციის განვევა.

ყველა კანდიდატმა სცადა ამოცანის ამოხსნა და უმრავლესობამ ყველა კითხვაზე პასუხისმომავლი მაღალი ქულა მიიღო.

მეორე ამოცანა ეხებოდა თემას „შესყიდვა და შერწყმა“.

„ა“ ნაწილში (20 ქულა) მოითხოვებოდა ფულადი ნაკადების ანალიზის გამოყენებით ორი კომპანიისა და პოტენციური გაერთიანებული კომპანიისთვის შეფასება, რა დონის სინერგიის შექმნაა მოსალოდნელი საკონტროლო პაკეტის შეძენის შედეგად.

„ბ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა შეთავაზების ფასის გაზრდის შეფასება.

კანდიდატების უმრავლესობამ მხოლოდ „ა“ ნაწილის კითხვას უპასუხა, ამგვარად მიღეს საშუალო ქულა. „ბ“ ნაწილის პასუხი ბევრმა საერთოდ გამოტოვა.

მესამე ამოცანა ეხებოდა თემას „კორპორაციული რესტრუქტურიზაცია და რეორგანიზაცია“.

„ა“ ნაწილში (13 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის გამოსყიდვის დაფინანსების შეთავაზებული კომბინაციის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ანალიზი. კანდიდატების უმრავლესობამ სუსტი პასუხი გასცა ამ კითხვას.

„ბ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა შეფასება, გახდა თუ არა ბანკის მიერ მოთხოვნილი ლევერიჯთან დაკავშირებული ოთხნლიანი შეზღუდვები კომპანიისთვის პრობლემატური. კანდიდატების 50%-მა საერთოდ არ გასცა პასუხი ამ კითხვას, ყველა დანარჩენმა სუსტი და არადამაკმაყოფილებელი პასუხი დაწერა.

მეოთხე ამოცანა – „როლი და პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ“.

„ა“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის დივიდენდების, დაფინანსებისა და რისკების მართვის არსებული პოლიტიკის განხილვა.

„ბ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა სამი კომპანიის დივიდენდების პოლიტიკის შეფასება.

„გ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა იმის გამოთვლა, რამდენი პროცენტით უნდა გაიზარდოს უცხოური კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები, რათა გასაცემი დივიდენდების ოდენობა 10%-ით გაიზარდოს.

„დ“ ნაწილში (3 ქულა) მოითხოვებოდა აქციონერების სარგებლის შეფასება და განხილვა.

ბევრმა კანდიდატმა კარგი და ამომწურავი პასუხის გასცა ამოცანის ყველა კითხვას.

კანდიდატების უმრავლესობამ თითქმის ყველა დავალებას გასცა პასუხი. ყველა დავალების შესასრულებლად კანდიდატებს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი. P4/ფმუდ მოღულის შემთხვევაში ზოგადი წესია, რომ „ა“ და „გ“ ნაწილებს შორის დრო უნდა განაწილდეს პროპორციულად შემდეგნაირად: კანდიდატმა 20-ქულიანი ამოცანა 40 წუთში უნდა ამოხსნას, 30-ქულიანი – 1 საათსაა და 5 წუთში, ხოლო 25-ქულიანი ამოცანები, თითოეული 52-53 წუთში.

P4/ფმუდ „ფინანსური მართვა (უმაღლესი დონე)“ მოღულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	48
მინიმალური ნიშანი	2
მაქსიმალური ნიშანი	73
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	1

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	56%	65%	29%	88%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	33%	37%	42%	39%

P7/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 50-ქულიანი და ორი 25-ქულიანი ამოცანა. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

პირველი ამოცანა მოიცავდა ოთხ – „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ნაწილებს და 4 პროფესიულ ქულას.

„ა“ ნაწილში (24 ქულა) მოითხოვებოდა დამკვეთი კომპანიის აუდიტის დაგეგმვის დროს აუდიტორული რისკების შეფასება. თითოეულ რისკთან მიმართებაში სრული პასუხი მოიცავს რისკის იდენტიფიცირებას, არსებითობის გამოთვლას და რისკის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„ბ“ ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა შვილობილის გაყიდვასთან დაკავშირებით მენეჯმენტისგან დამატებით გამოსათხოვი ინფორმაციის ჩამოთვლა.

„გ“ ნაწილში (8 ქულა) მოითხოვებოდა ინვესტიციასთან და გრანტთან დაკავშირებით ძირითადი აუდიტორული პროცედურების ჩამოთვლა.

„დ“ ნაწილში (10 ქულა) მოითხოვებოდა სცენარის კონტექსტში ეთიკური პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

კანდიდატების უმრავლესობამ კარგად უპასუხეს ამოცანის ყველა კითხვას და შედარებით კარგი ქულა მიიღეს.

პროფესიული ქულები (4 ქულა) იძლეოდა შენიშვნების ტექსტის წარდგენის, გარკვევით ახსნისა და ლოგიკური თანმიმდევრობისთვის. როგორც წესი, სუსტმა კანდიდატებმაც მიიღეს 2-2 პროფესიული ქულა ანგარიშის დასათაურებისა და მოკლე შესავლისთვის.

მეორე ამოცანა მოიცავდა ორ – „ა“ და „ბ“ ნაწილებს

„ა“ ნაწილში (20 ქულა) მოითხოვებოდა იმ განსახილვების საკითხების აღწერა და აუდიტორული მტკიცებულებების ახსნა, რომელთა პოვნასაც მოელით აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ამოცანის პირობაში აღწერილ თითოეულ სამ საკითხთან მიმართებით.

„ბ“ ნაწილში (5 ქულა) მოითხოვებოდა ამოცანის პირობაში მოცემული თითოეული საკითხის აუდიტორის დასკვნაზე გავლენის მოხდენის განხილვა.

კანდიდატების უმრავლესობამ ცუდად დაწერა მეორე ამოცანის ორივე ნაწილის პასუხი და მიიღეს დაბალი ქულა.

მესამე ამოცანა მოიცავდა ორ – „ა“ და „ბ“ ნაწილებს

„ა“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა ფულის გათეთრების განმარტება და შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასახელება.

„ბ“ ნაწილში (12 ქულა) მოითხოვებოდა ეთიკურ და პროფესიულ საკითხებზე კომენტარის გაკეთება.

„გ“ ნაწილში (7 ქულა) მოითხოვებოდა მარაგების დათვლისას წამოჭრილ ეთიკურ და პროფესიულ საკითხებზე კომენტარის გაკეთება.

კანდიდატებმა შედარებით კარგად უპასუხეს ამოცანის ყველა კითხვას.

P7/ამმ „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)“ მოდულის ჩაპარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	47
მინიმალური ნიშანი	19
მაქსიმალური ნიშანი	71
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	2

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	83%	41%	53%	50%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	33%	33%	35%	32%

სპლ „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ მოდულის გამოცდის პროგრამა და ფორმატი არ შეცვლილა – გამოცდაზე გამოტანილი იყო ერთი 100-ქულიანი სცენარი, რომელიც მოიცავდა ხუთ დავალებას. ყველა დავალების ამოსახსნელად კანდიდატს ეძლევა 4 საათი და 30 წუთი.

პირველი დავალების „ა“ ნაწილში (16 ქულა) მოითხოვებოდა, ამოცანის პირობაში მოცე-მული ინფორმაციის საფუძველზე, კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ინფორმაციის მომზადება, რომელიც აფასებს კომპანიის ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათ გავლენას კომპანიის შედეგებზე. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები ინერებოდა სტრატეგიული შესაძლებლობების შეფასების დროს შეფასების უნარის გამოვლენისას.

პირველი დავალების „ბ“ ნაწილში (14 ქულა) მოითხოვებოდა, ამოცანის პირობაში მოცე-მული ინფორმაციის საფუძველზე, კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ინფორმაციის მომზადება, რომელშიც გაანალიზებულია, რატომ არ იქნება კომპანიისთვის დაბალ-ბიუჯეტიან ავიახაზებად გარდაქმნის სტრატეგია მისაღები. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები ინერებოდა შემოთავაზებული სტრატეგიის გაკრიტიკების დროს სკეპტიციზმის უნარის გამოვლენაში.

მეორე დავალების „ა“ ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა მოკლე ჩანაწერების მომზა-დება, რომელშიც ახსნილი იქნებოდა პროექტის გეგმის შემუშავების მნიშვნელობა და პროექტის სარგებლის წინასწარ დაგეგმვა. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები ინერებოდა პროექტის გეგმისა და სარგებლის რეალიზაციის შეფასების საჭიროების დასაბუთების დროს სკეპტიციზმის უნარის გამოვლენისას.

მეორე დავალების „ბ“ ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა ინფორმაციის უსაფრთხოების მნიშვნელობის ანალიზი. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები ინერებოდა ინფორმაციის უსაფრთხოების მნიშვნელობის გადმოცემის დროს ანალიზის უნარის გამოვლენისას.

მესამე დავალების „ა“ (1) ნაწილში (4 ქულა) მოითხოვებოდა კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის მოკლე ჩანაწერების მომზადება, რომელშიც საბჭოს უნდა მისცემთ კომ-პანიაში დასანერგი ცვლილებების რეკომენდაციები. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები ინერებოდა პროცედურების გადმოცემის დროს კომერციული ალლოს უნარის გამოვლენისას.

მესამე დავალების „ა“ (1) ნაწილში (11 ქულა) მოითხოვებოდა ძირითადი დაინტერესებული მხარეების გამოვლენა. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა დაინტერესებული მხარეების გავლენის შეფასების დროს შეფასების უნარის გამოვლენისას.

მესამე დავალების „ბ“ ნაწილში (6 ქულა) მოითხოვებოდა ამოცანის პირობაში აღნერილი კომპანიის კონტექსტში იმის ახსნა, თუ რატომა მნიშვნელოვანი ხალხის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროცესების გათვალისწინება ახალი სისტემების დანერგვის პროექტში. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა სათანადო მოდელის გამოყენებით პროექტებში გასათვალისწინებელი ასპექტების ახსნის დროს ანალიზის უნარის გამოვლენისას.

მეოთხე დავალებაში (7 ქულა) მოითხოვებოდა შესაბამისი მოდელის გამოყენებით, საბჭოს მიერ ეთიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღნერა. პროფესიულ უნარებში (2 ქულა) ქულები იწერებოდა კომპანიისთვის რელევანტური ეთიკური საკითხების წამოჭრის დროს კომერციული ალოს უნარის გამოვლენისას.

მეხუთე დავალებაში (14 ქულა) მოითხოვებოდა პრეზენტაციის ორი სლაიდის დამხმარეშენიშვნების მომზადება, რომელიც აღნერს კამპანიისთვის ინტეგრირებული ანგარიშგების დანერგვის დადებით მხარეებს და ინტეგრირებული ანგარიშგების ტრადიციული ფინანსური ანგარიშგებისგან განმასხვავებელ ნიშნებს. პროფესიულ უნარებში (4 ქულა) ქულები იწერებოდა დირექტორებისთვის პრეზენტაციის წარდგენის დროს კომუნიკაციის უნარის გამოვლენისას.

სპლ „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ მოდულის ჩაბარების სტატისტიკა

საშუალო ნიშანი	53
მინიმალური ნიშანი	34
მაქსიმალური ნიშანი	68
კანდიდატების რაოდენობა ზედა კვარტილში	0
კანდიდატების რაოდენობა ქვედა კვარტილში	0

პაცი	2020 წ. იანვარი	2020 წ. ივლისი	2021 წ. თებერვალი	2021 წ. ივლისი
	64%	63%	47%	75%

ACCA Global	2019 წ. დეკემბერი	2020 წ. სექტემბერი	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. ივნისი
	47%	51%	49%	46%

მასალა მოამზადა:

ბაფის საგამოცდო კომისია

გლობალური ანგარიშგების ინიციატივამ უნივერსალური გდგრადობის სტანდარტები განაახლა



(Global Reporting Initiative) 5 ოქტომბერს სტანდარტების განახლებული ვერსია გამოსცა, სადაც ასახულია მოლოდინები ორგანიზაციების მიერ გარემოზე, მათ შორის – ადამიანის უფლებებზე, ზემოქმედების მიმართ.

GRI იმედოვნებს, რომ გადახედილი სტანდარტები წარმატებით დაინერგება 10,000-ზე მეტ კომპანიაში, რომლებიც უკვე იყენებენ ამ ორგანიზაციის სტანდარტებს მდგრადობის ანგარიშგების სანარმოებლად. სტანდარტები იმგვარადაა შექმნილი, რომ კომპანიებმა მისი გამოყენებით შეძლონ ახალი რეგულაციური მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული მოიცავს ეკონომიკურის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის გეგმებს, შექმნას საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტების საბჭო, რომელიც IASB-სთან ერთად განახორციელებს ზედამხედველობას.

ახალი რედაქცია მოიცავს ახალ სტანდარტებს სექტორების მიხედვით, რათა დაეხმაროს კომპანიებს, ანგარიშგების მომზადებისას ფინანსირება მოახდინონ ისეთ საკითხებზე, რომლებიც უველაზე მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სექტორში. GRI-ს მიერ უკვე იდენტიფიცირებული 40 სექტორიდან, ქვანახშირის მოპოვების, სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურისა და მეთევზეობისათვის სტანდარტები უკვე შექმნის პროცესშია.

„აღნიშნული ცვლილება უველაზე მნიშვნელოვანია 2016 წელს GRI-ს სტანდარტების გამოსვლის შემდეგ. აღნიშნული რედაქციის უნივერსალური სტანდარტები აწესებს კორპორაციული გამჭვირვალობის ახალ გლობალურ ორიენტირს,“ – განაცხადა გლობალური მდგრადობის სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარებრივი კუნძული კუნძული სკომ.

ხელმისაწვდომ ანგარიშგების ჩარჩოებსა და პასუხისმგებლიანი ბიზნესის საერთაშორისო მოლოდინებს შორის აცდენის აღმოფხვრის გზით, აღნიშნული სტანდარტები უფრო ეფექტური და ყოვლისმომცველი ანგარიშგების წარმოების საშუალებას იძლევა.



2021 წლის უნივერსალური სტანდარტები მოიცავს სამ სტანდარტს:

- **GRI 1: საფუძვლები:** განიხილავს GRI ანგარიშების სისტემის დანიშნულებას, ადგენს ძირითად კონცეფციებს, მოთხოვნებსა და პრინციპებს, რომელებსაც უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაცია იმისათვის, რომ განახორციელოს ანგარიშება GRI სტანდარტების ფარგლებში.
- **GRI 2: ზოგადი გამულავნებები:** საანგარიშებო პრაქტიკების შესახებ გამულავნებების განახლებასა და კონსოლიდაციას ახდენს.
- **GRI 3: არსებითი საკითხები:** მოიცავს დეტალურ ინსტრუქციასა და განახლებულ გამულავნებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განსაზღვროს და მართოს ორგანიზაციამ ყველა არსებითი საკითხი.

ახალი რედაქციის სტანდარტები შეესაბამება გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებს; OECD-ს ინსტრუქციას მილტინაციონალური კომპანიებისთვის; OECD-ს პასუხისმგებლიანი ბიზნესაქმიანობის ინსტრუქციას; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტებს და ICGN-ს გლობალური მმართველობის პრინციპებს.

ახალ რედაქციაში შესული ცვლილებები საჯარო კომენტირებისთვის ხელმისაწვდომი იყო გასული წლის განმავლობაში და ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი წვლილი შეეტანა შეთავაზებულ ცვლილებებში. აღნიშნული სტანდარტები ძალაში 2023 წლის 1 იანვირიდან შევა, თუმცა ნაადრევი დანერგვა მისასალმებელია.

წყარო: accountingtoday.com

5 რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიმუშავოთ მეტი საგადასახადო დაგეგმვის სერვისებზე

რა არის ბუღალტრის პროფესიის ყველაზე დიდი ტრაგედია? ის ფაქტი, რომ მცირებიზნესის მფლობელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბუღალტერი გადასახადებზე ფულს აზოგინებს მაშინ, როცა სინამდვილეში მათი უმრავლესობა ამას არ აკეთებს. რაც შეეხება ბუღალტერთა მცირერიცხოვან ნაწილს, რომლებიც მართლაც ცდილობენ კლიენტის ფულის დაზოგვას, მათმა უმრავლესობამ არ იცის, როგორ მოახდინოს მათ მიერ შექმნილი ღირებულების კომუნიკაცია კლიენტთან ისე, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული სერვისისთვის მეტი ჰონორარის მიღება.

თუ გინდათ გქონდეთ სტრატეგია წარმატებული, სწრაფად მზარდი და მომგებიანი ფირმის შესაქმნელად, რომელიც მომხმარებლებს მილიონობით დოლარს დაუზოგავს ყოველწლიურად, მაშინ საგა-

დასახადო დაგეგმარების სერვისი თქვენთვის ზედგამოქვილია. სწორი განხორციელების შემთხვევაში, სერვისის ღირებულება შესაძლოა ხუთჯერ ან შვიდჯერ მეტიც კი იყოს, ვიდრე საგადასახადო დეკლარირების სერვისი, ხოლო კლიენტის მიერ მიღებული სარგებელი – ექსპონენციალურად მაღალი.

სანამ უშუალოდ ფასდადგენაზე და პაკეტებზე გადავალთ, მოკლედ განვიხილოთ საგადასახადო გეგმის დანიშნულება, რაც გულისხმობს კლიენტის ცხოვრებისა და ბიზნესის ანალიზს და ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ მას ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწიოს. უამრავი ბუღალტრისთვის საგადასახადო კოდექსი ზედმეტად კომპლექსურია იმისათვის, რომ ყველა შესაძლებლობის იდენტიფიცირება მოხდეს, თუმცა არ არის საჭირო იცოდე ყველა საგადასახადო სტრატეგია

იმისათვის, რომ დაიწყო საგადასახადო გეგმის გაყიდვები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფირმა შექლებს კლიენტს დაუზოგოს გადასახადებიდან იმაზე სამჯერ მეტი მაინც, რაც საგადასახადო გეგმის მომზადება უჯდება, ალნიშნული პროდუქტი უკვე გაყიდვადია.

ქვემოთ მოყვანილია ხუთი იდეა, რასაც ახორციელებენ წარმატებული ფირმები. აღნიშნული რჩევების გათვალისწინება საშუალებას მოგცემთ არა მხოლოდ გაზარდოთ თქვენი სერვისის ღირებულება, არამედ შემნათ მეტი სარგებელი კლიენტებისთვის.

1. მიპიოთ სერვისის ღირებულება საგადასახადო დანაზოგს

საგადასახადო გეგმის სერვისის ღირებულების დასადგენად მშვენიერი დასაწყისია საგადასახადო დანაზოგის 30%. მაგალითად, თუ ვარაუდობთ, რომ კლიენტი თქვენი საგადასახადო გეგმის გამოყენებით მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში $15,000\$$ -ს დაზოგავს, შეგიძლიათ სერვისის ღირებულება $4,500\$$ -ით განსაზღვროთ. გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ საგადასახადო გეგმაა და არ მოიცავს იმპლემენტაციას. საგადასახადო დაგეგმარების ფასდადგენა იმპლემენტაციისგან და დეკლარირებისგან განცალკევებით უნდა მოხდეს. კლიენტს მკაფიოდ უნდა აუხსნათ, თუ რას მოიცავს გარიგების თითოეული ნაწილი, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობა.

2. ცხადად გადმოეცით თქვენი სერვისის სარგებელი

საგადასახადო დაგეგმარება გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ცვლილებების იდენტიფიცირებას, რომელთა დანერგვითაც კომპანია გადასახადების შემცირებას შეძლებს. ხშირად, საკმაოდ მოკლე შეხვედრის ფარგლებშიც შეიძლება იმის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა კლიენტს დაუ-

ზოგოთ თანხა გადასახადებზე. ასეთ შეხვედრაზე მნიშვნელოვანია აჩვენოთ კლიენტს, რომ ისინი ზედმეტ გადასახადებს გადაიხდიან გეგმაზე უარის თქმის შემთხვევაში.

3. კარგად ახსენით თქვენთან თანამშრომლობაზე უარის თქმის ფასი

კლიენტს კარგად უნდა ესმოდეს პოტენციური დანაზოგის მოცულობა წელს და ყოველი მომდევნო წლის განმავლობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, საგადასახადო დაგეგმვის სერვისის გაყიდვაში მთავარი სტრატეგია არის შედარება.

4. შექმენით საგადასახადო დაგეგმვის პაკეტები

მხოლოდ საგადასახადო დაგეგმვის სერვისი ძალიან შორსაა იმ საერთო სარგებლიდან, რომელიც შეიძლება ბუღალტერმა მოუტანოს კლიენტს. ქვევით მოცემულია რამდენიმე სერვისი, რომელთა ერთიან პაკეტში დაჯგუფებაც განგრძობითი შემოსავლის წყაროს გაჩენის საშუალებას იძლევა:

- საგადასახადო დაგეგმვა;
- იმპლემენტაცია;
- დეკლარაციების მომზადება.

5. მიზნად დაისახეთ განგრძობითი შემოსავლის მიღება

ფირმის განვითარებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს განგრძობითი შემოსავლის წყაროების არსებობა. საგადასახადო დაგეგმარების სერვისი საშუალებას გაძლიერებს, შექმნათ სტაბილური შემოსავლის წყარო ფირმისთვის დეკლარირებისა და ანგარიშგების სერვისების მომზადების სახით.

ოფიციალური მასალები

ვებგვერდი, 10/09/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017502

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 228 2021 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი № III-24 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 75-ე მუხლის:

ა) 7¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7¹. დეკლარაციის „ბ“ დანართის IV ნაწილში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161¹ მუხლის შესაბამისად სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით შესყიდვისას შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება, საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება, საქონლის/სამეურვეო ქონების შესყიდვის თარიღი და დღგ-ის თანხა.“;

ბ) 7⁵ და 7⁶ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7⁵. დეკლარაციის „ბ“ დანართის VIII ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება) და არ გამოიწერება მასზე კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. VIII ნაწილის მე-2 სვეტში მიეთითება დღგ-ის იმ დეკლარაცი(ებ)ის ნომერი, სადაც განხორციელდა კორექტირებამდე დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირება, მე-3 სვეტში მიეთითება დღგ-ის დეკლარაციის საანგარიშო პერიოდი და მე-4 სვეტში მიეთითება დღგ-ის თანხა, რომლითაც ხდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის შემცირება. ამასთან, მე-4 სვეტში დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს ამავე დანართის მე-2 სვეტში მითითებული დღგ-ის დეკლარაციით დარიცხულ დღგ-ზე მეტი.

7⁶. დეკლარაციის „ბ“ დანართის IX ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად განხორციელდა დღგ-ით უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება). IX ნაწილის მე-2 სვეტში მიეთითება დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ის სარეგისტრაციო ნომერი, თუ კორექტირებამდე დღგ-ით უკუდაბეგვრით დასაბეგრი ოპერაცია დადეკლარირდა დღგ-ის დეკლარაციით და უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშების სარეგისტრაციო ნომერი, თუ კორექტირებამდე უკუდაბეგვრის დასაბეგრი ოპერაცია დადეკლარირდა დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშებით. მე-3 სვეტში მიეთითება ამავე დანართში მითითებული დღგ-ის დეკლარაციის/უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის გაანგარიშების შესაბამისი საანგარიშო პერიოდი და მე-4 სვეტში მიეთითება დღგ-ის თანხა, რითაც ხდება დღგ-ით უკუდაბეგვრის დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება (შემცირება). ამასთან, მე-4 სვეტში დეკლარირებული დღგ-ის თანხა არ უნდა იყოს ამავე

დანართის მე-2 სვეტში მითითებული დღგ-ის დეკლარაციით/უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის განგარიშებით უკუდაბეგვრის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ზე მეტი. ამასთან, აღნიშნულ დანართში მითითებული დღგ-ის თანხა გადაიტანება დღგ-ის დეკლარაციის III ნაწილის მე-10 გრაფაში.“.

3. 75⁵ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეყუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ“ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე – 173-ე მუხლების თანახმად, დღგ-ისგან გათავისუფლებულ საქონელზე.“.

4. 109-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. თუ ფიზიკური პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

დანართი №III-24

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

განაცხადი გადახდილი დღგ-ის დაბრუნების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, დაგვიბრუნოთ პროგრამის/პროექტის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხები შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

(ბანკის დასახელება და რეკვიზიტები)

(ანგარიშის ნომერი)

დანართი:



საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების

რაოდენობა



საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები

გვერდზე

განმცხადებლის ხელმოწერა _____

--	--	--	--	--

(თარიღი)

ვებგვერდი, 15/09/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017503

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №233
2021 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვგვით:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. 107-ე მუხლის მე-4 პუნქტის შენიშვნის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ლიცენზიის/მისი ნაწილის იჯარით გაცემისას, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენას და მოსაკრებლის თანხის გადახდას ახორციელებს ლიცენზიის მესაკუთრე.“.

2. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 50-ე პუნქტი:

„50. თუ 2021 წლის პირველი იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და მოსაკრებლის გადახდა განხორციელებულია ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ, ამ ნაწილში ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ლიცენზიის მესაკუთრის მიერ.

მაგალითი:

პირზე (ლიცენზიის მესაკუთრეზე) გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია, რომელზეც დამტკიცებულია ათვისების შესაბამისი გეგმა. პირს (ლიცენზიის მესაკუთრეს) 2018 წლის პირველი იანვრიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია სრულად იჯარით აქვს გადაცემული სხვა პირზე (ლიცენზიის იჯარით მიმღებ პირზე).

ვარიანტი პირველი:

2018 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველი იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება წარდგენილია და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხა გადახდილია ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ.

ვარიანტი მეორე:

2018 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველი იანვრამდე პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშებისაგადასახადოორგანოსთვის წარდგენილი არ არის. ამასთან, არ არის გადახდილი კუთვნილი მოსაკრებლის თანხა.

პირველ ვარიანტში:

ლიცენზიის იჯარით მიმღები პირის მიერ 2021 წლის პირველი იანვრამდე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხის გადახდა, ამ ნაწილში ჩაეთვლება ლიცენზიის მესაკუთრეს შესრულებულად.

მეორე ვარიანტში:

იჯარით გაცემულ ლიცენზიაზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების წარდგენა და ამ გაანგარიშების საფუძველზე დარიცხული მოსაკრებლის თანხის გადახდა, დაეკისრება ლიცენზიის მესაკუთრეს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვებგვერდი, 16/09/2021
 სარეგისტრაციო კოდი
 200090000.22.033.017504

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
 ბრძანება №236
 2021 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
 №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნას ცვლილება და 6¹ მუხლის:

1. პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრება სიდიდის შესაბამისი კატეგორია, რომელიც შეიძლება იყოს:

- ა) მცირე;
- ბ) საშუალო;
- გ) მსხვილი.

2. გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესს განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის უფროსი.“.

2. მე-3 - მე-4, მე-6 - მე-12 პუნქტები და „მაგალითი“ ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 20 სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 23/09/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017507

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №245
2021 წლის 22 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანება:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.“;

ბ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საგადასახადო აღრიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წერილობით ეცნობება დასაბუთებული უარი.“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო ორგანო განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოფს პირის საგადასახადო აღრიცხვას და გადასახადის გადამხდელის მოწმობის გაცემას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

~~~~~

ვებგვერდი, 23/09/2021  
სარეგისტრაციო კოდი  
200090000.22.033.017508

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №246  
2021 წლის 22 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის  
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანება:

**მუხლი 1**

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 75<sup>8</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## „მუხლი 75<sup>8</sup>. კომერციული ბანკებისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი

1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, ბანკი შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წერილობითი (მატერიალური) ან ელექტრონული ფორმით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარუდგენს ჯამურ ანგარიშს გადახდაზე და ამონაწერს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დაბრუნებული თანხების შესახებ.

2. ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში „უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ“ განაცხადის ელექტრონულად წარდგენისას:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში განაცხადი ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავების საფუძველზე ავტომატურად დაკმაყოფილდება, ხოლო შემოსავლების სამსახური, თანხის დაბრუნების მიზნით, უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, სახაზინო სამსახურში დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გაგზავნას „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნებისა, აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებით დადგენილი წესით;

ბ) მონაცემების ავტომატური დამუშავების (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით) შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით ელექტრონულად ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3. ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში „უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ“ განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენისას საგადასახადო ორგანო განიხილავს და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში თანხის დაბრუნების მიზნით უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სახაზინო სამსახურში დოკუმენტების გაგზავნას „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნებისა, აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით წერილობით ატყობინებს განაცხადის წარმდგენ პირს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი აღნიშნული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

5. დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება განაცხადის წარმდგენი პირის მიერ განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.“.

### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

რეაქციაში შემოსულ პითევებზე აასუხები მოამზადა  
პაცის საგადასახადო კომიტეტია

## პითევა:

2021 წლის აგვისტოში დარეგისტრირებული ვარ მცირე მენარმედ. აგვისტოს თვეში შემოსავალი არ მქონია და 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე მაქვს შემოსავალი. ეს შემოსავალი არის დასადეკლარირებული და გასაგზავნი 15 სექტემბრამდე, თუ აგვისტოს დეკლრაციას არ ეკუთვნის გაგზავნა, მაშინ ამ შემოსავლებზე ოქტომბერშია გადასაგზავნი?

## პასუხი:

თუ შემოსავალი მიეკუთვნება პერიოდს 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ამ პერიოდზე ანგარიშება, როგორც წესი, საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა.

## პითევა:

ივნისში ავანსის ფაქტურა მაქვს განერილი და მიბმული დეკლარაციაზე. აგვისტოში მოგვიწინა თანხის ნაწილის უკან დაბრუნება, დავაკორექტირე ფაქტურა და ოპერაციის თარიღად მივუთითე, რა თქმა უნდა, აგვისტო. როგორ მოვიქცე, უკან დაბრუნებული თანხის დღგ როგორ ავსახო სწორად? დეკლარაციაც უნდა დავაკორექტირო თუ არა?

## პასუხი:

დღგ-ის კორექტირება აისახება აგვისტოს დღგ-ის დეკლარაციაში შესაბამის სტრიქონზე, რაც გამოიწვევს აგვისტოს თვეში გადასახადის შემცირებას.

## პითევა:

